ჩვენს გაზეთზე ხელმოწერის ვადა გაგრძელებულია 10 დეკემბრამდე

გამოიწერეთ, უგაზეთოდ არ დარჩეთ!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 257 (785) | შაბათი, 4 დეკემბერი, 1993 წელი. | ფასი 200 კუპონი

პირველი სვეტი

ლტოლვილები თავიანთ სოფლებს დაუბრუნდნენ

ტელეფონით საუბრისას ზუგდიდის რაიონის გამგებელმა ედიშერ ჩარგაზიამ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას აცნობა, რომ 3 დეკემბერს თავიანთ სახლებს დაუბრუნდა მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლების განარჯიის მუხურისა (იგი ადმინისტრაციულად ზუგდიდს ეკუთვნის) და ოტობაიას (გალის რაიონი) ლტოლვილი მოსახლეობა.

კომპიუტერული ცენტრი ზუგდიდში

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა მიზანშეწონილად ჩათვალა ზუგდიდში ბეჭდვითი პროდუქციის დამუშავების კომპიუტერული ცენტრის შექმნა. იგი იარსებებს სამეურნეო ანგარიშზე და უფლებამოსილი იქნება საკუთარი ძალებით მოამზადოს და გამოსცეს ნაბეჭდი პროდუქცია.

აქ რომ პური ცხვება...

ალბათ ბევრი ინატრებდა ახალციხის პურს. ელექტროენერგიის ხშირი გამორთვების პირობებში მაინც ახერხებენ მეხბი მეპურეები ხარისხიანი პურის ცხობას. პური ურიგოდ იყიდება. მკაცრად არის დაცული პურის სიით გაცემა. ერთ სულზე კუთვნილ 400 გრამ პურს მაღაზიის დაკეტვამდე ნებისმიერ დროს ურიგოდ მიიღებთ.

• • •

ცნობები რეგიონებიდან

ფოთი. 3 დეკემბრის დილის 7 საათიდან ქალაქს ელექტროენერგია გამოერთო. გაჩერდა ნავსადგურიც. ცდებიან უცხოური გემები, საიდანაც არ ხდება სურსათის, ხორბლის და ფქვილის გადმოტვირთვა. ამ მოცდენის გამო საქართველოს რესპუბლიკას მოუწევს საჯარიმო თანხების ვალუტით გადახდა.

სენაკი. ელექტროენერგიის წყვეტილობით მომარაგება ხელს უშლის რაიონის ხელმძღვანელობას სრულად უზრუნველყოს მოსახლეობა და ლტოლვილები გამომცხვარი პურით. წლევანდელმა ზამთარმა ვერ შეაფერხა სკოლებში სწავლა. დაზიანებული შენობების აღსადგენად რაიონმა მიიღო შიფერი და მინა. ელოდებიან სხვა სამშენ მასალებსაც.

ზუგდიდი. აქ ელექტროენერგია არის და მწყობრში დგება საწარმოების მუშაობა. ნედლეულის და სხვა საჭირო მასალების შესაძენად კავშირები მყარდება რესპუბლიკასა და რესპუბლიკის გარეთ ნედლეულის მიმწოდებლებთან. მუშაობენ კომერციული სტრუქტურები სახურსათო პროდუქტების შესაძენად ბარტერული წესით.

ფუნქციონირებს კვებისა და სავაჭრო ობიექტები.

რაიონში დაიწყეს ციტრუსების დამზადება.

საგრძნობლად იკლო ძარცვა-ყაჩაღობის ფაქტებმა.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ნოდარ გურეშიძე

ღირსება

შელახულია ერის ღირსება,
დათალხულია ჩვენი მამული...
გული ბოღმით და დარდით ივსება,
მწველი სირცხვილის გვტანჯავს ალმური.

შთამომავლობა ზიზღით და რისხვით
მოგვიხსენიებს და შეგვაჩვენებს,
თუ კი ამდენი ცრემლი და სისხლი
მტერს ვაპატიეთ და შევარჩინეთ.

მონური ყოფა თუ გავამართლეთ,
არ ვაზეიმეთ მტერზე მახვილი,
თუ არ ვიბრძოლეთ,
თუ არ აღვმართეთ
დროშა, ღალატით დაბლა დახრილი.

სხვაგან განცხრომა თუ კი ვარჩიეთ
ჩვენს სამშობლოში ტანჯვა-წვალებას,
თუ გავმათხოვრდით,
თუ შევეჩვიეთ
მადლად ბოძებულ სხვის მოწყალებას.

სიკეთე თუ არ გადავარჩინეთ,
ბნელი ვარჩიეთ მზის ბრწყინვალებას,
თუ დავძაბუნდით,
თუ შევეჩვიეთ
სირცხვილს, დაცემას... უცხინვალობას

გაგრის დაკარგვას,
ცხუმის დაკარგვას,
გალის დაკარგვას თუ შევეჩვიეთ, —
შთამომავლობა ლაჩარს დაგვარქმევს
და სჯობდა, ღმერთს სულ არ გავეჩინეთ!

განგებამ ისე როგორ დამჩაგროს,
გონი წამართვას და დამიმიწოს —
რომ დაგივიწყო, შენ, სამაჩაბლოვ,
შენ, აფხაზეთო, რომ დაგივიწყო!

განა ღვარძლმა და სულმოკლეობამ
ისე დაგვამცრო
და დაგვამდაბლა,
რომ არ გვახსოვდეს დალის ხეობა,
ლაბრა,
ჭუბერი და ახალდაბა!

თუ დაგივიწყეთ,
ვიქნებით ღირსნი
გვწყევლონ,
გვაგინონ და შეგვაჩვენონ...
თუ კი ამდენი
ცრემლი და სისხლი
მტერს ვაპატიეთ და შევარჩინეთ!

არა!
კერია არ დაივსება!
დარდით და გლოვით არ გავბრუვდებით,
კვლავ აღზევდება
ჩვენი ღირსება,
ჩვენ დავბრუნდებით!
ჩვენ დავბრუნდებით!

ვფიცავთ იმ წმინდა
საფლავთა ხსოვნას,
ღალატს და
სირცხვილს არ ვაპატიებთ —
აღარასოდეს,
აღარასოდეს,
არც შინაურს და არც გადამთიელს!

19. XI. 93 წ.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

ეკონომიკის ბედი – რესპუბლიკის ბედია

ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მთელ სხდომას, რომელიც 2 დეკემბერს გაიმართა პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციას თავმჯდომარეობით. იმან, რომ სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იყო რესპუბლიკის ცხოვრებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები, განაპირობა მის მუშაობაში პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის, პარლამენტის მთელი რიგი კომისიების ხელმძღვანელთა მონაწილეობა.

საქმე ის არის, რომ ნამდვილად კატასტროფული ვითარება შეიქმნა საქართველოს ეკონომიკაში: პრაქტიკულად ყველა დარგში მცირდება წარმოების მოცულობა, რაც იწვევს მწვავე ჰიპერინფლაციის პროცესებს, რომლებსაც მუდამ ახლავს ფასების შეუკავებელი ზრდა. ეს კი დღეს მტკივნეულად აისახება ყოველი ოჯახისა და მთლიანად ქვეყნის ბიუჯეტზე.

რა გამოსავალია შექმნილი კრიზისიდან? ამ რთულ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა კიდეც მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში რესპუბლიკის ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების განხილვას. ეკონომიკის სამინისტროს მიერ მთავრობის განსახილველად წარმოდგენილი საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტი კი უფრო სტატისტიკურ ანგარიშს წააგავდა, ვიდრე იმ არასახარბიელო სურათის ანალიზს, რომელიც შეიქმნა საქართველოს ეკონომიკაში. მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე ადგილს ამ დოკუმენტიდან. მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების დონემ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 27,7 პროცენტით იკლო, რაც ერთ-ერთი ყველაზე უარესი მაჩვენებელია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ქვეყანაში მოქმედი 1823 საწარმოდან პროდუქციის წარმოების მოცულობა შეამცირა 568 საწარმომ, 77 უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციიდან 59 სახეობის წარმოება შემცირდა, ხუთი სახეობის პროდუქციას კი საერთოდ აღარ უშვებენ. სავარაუდო მოსავალი ვერ მივიღეთ სოფლის მეურნეობის ვერცერთ დარგში. რესპუბლიკის ეკონომიკას განსაკუთრებული სირთულეები შეუქმნა ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის დამზადების არსებითმა შემცირებამ, როგორიც არის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ყურძენი. მიმდინარე წლის 20 ოქტომბრისათვის დამზადებული იყო 132,2 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რამაც შარშანდელ გასულ პერიოდში დამზადებული მოცულობის 66,4 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება ყურძენს, 26 ოქტომბრისათვის ყველა კატეგორიის მეურნეობაში დამზადებული იყო სულ 66 ათასი ტონა, მაშინ, როცა შარშან ამ დროისათვის ეს მაჩვენებელი 141 ათას ტონას უდრიდა. უკრაინასთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან და მოსკოვთან დადებული სავაჭრო-ეკონომიკური შეთანხმებების მიხედვით, საქართველოს მათთვის უნდა მიეწოდებინა 530,9 მილიონი დოლარის პროდუქცია და ნედლეული, ფაქტობრივად კი მივაწოდეთ მხოლოდ 164,3 მილიონი დოლარისა. საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა შეადგინა საერთო შინაგანი პროდუქტის თითქმის 10 პროცენტი. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია უკანასკნელ ხუთ წელიწადში, რომლის განმავლობაშიც იგი 1,5 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. საქართველოს ექსპორტმა კი ცხრა თვის მანძილზე შეადგინა მთელი იმპორტის 21,1 პროცენტი...

აღნიშნეს რა ეს და სხვა არასახარბიელო ფაქტები, დოკუმენტის ავტორები მხოლოდ ინფორმატორთა როლით შემოიფარგლნენ, არ შემოუთავაზებიათ ეკონომიკის მოწესრიგების, ასეთი ღრმა კრიზისიდან რესპუბლიკის თავის დაღწევის ოპტიმალური გზები, და სწორედ ამიტომ ეკონომიკის სამინისტრო, მისი ხელმძღვანელობა, რომლებიც სხვებზე უკეთ უნდა ფლობდნენ სიტუაციას, ხედავდნენ პერსპექტივას, სამართლიანად გააკრიტიკეს როგორც პრემიერ-მინისტრმა, ისე სახელმწიფოს მეთაურმა. ედუარდ შევარდნაძის წინადადებით გადაწყდა უკვე იანვრის შუა რიცხვებში მინისტრთა კაბინეტის გაფართოებულ სხდომაზე საგნობრივად გააანალიზონ მიმდინარე წლის განმავლობაში რესპუბლიკის ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგები. მოისმინონ ამ სხდომაზე ყველა მინისტრის, ვიცე-პრემიერების ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ, რათა ზუსტად განსაზღვრონ მოქმედების პროგრამა ყველა მიმართულებით.

სხდომაზე პრინციპული და მომთხოვნელი გამოდგა აგრეთვე იმ საკითხის განხილვა, რომელიც ეხებოდა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მუშაობას დარგის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და სამთავრობათშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის. მრავალი კრიტიკული შენიშვნის მოსმენა მოუწია თვით მინისტრს იმის გამო, რომ მისი დარგის საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროდუქციის მიწოდებათა სახელმწიფო დავალებების შესრულებას, რის შედეგადაც ჩაშლის საფრთხე ემუქრება რესპუბლიკისთვის ამჟამად საარსებო მნიშვნელობის მქონე როგორც საკლირინგო, ისე ბარტერულ ოპერაციებს თურქმენეთთან, ყაზახეთთან, სხვა ქვეყნებთან. ითქვა, რომ მაშინ, როცა დარგის საწარმოებს ედებათ სახელმწიფოს დიდი ვალი აირის, ელექტროენერგიის, სხვა ენერგოშემცველების, ნედლეულის მოხმარებისათვის, ისინი მას აბარებენ მხოლოდ გამომუშავებული პროდუქციის მცირე ნაწილს. დანარჩენს კი მიჰყიდიან კერძო სტრუქტურებს, რომლებიც ზღაპრულ ფასებში ჰყიდიან ამ პროდუქციას საშინაო ბაზარზე ან გააქვთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, პრაქტიკულად არაფერი არ შემოაქვთ მის სანაცვლოდ.

მინისტრთა კაბინეტს კიდევ ერთხელ მოუწია გაედიდებინა რესპუბლიკაში ბუნებრივი აირის ფასი და ელექტროენერგიის ტარიფები იმის გამო, რომ ამ პროდუქციის მომწოდებელმა ქვეყნებმა კვლავ გაზარდეს მისი ღირებულება. მიღებულია დადგენილება, რომლის თანახმადაც ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის ერთი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის სარეალიზაციო ფასი დამტკიცებულია 2.800 კუპონის ოდენობით. ეს 70-ჯერ აღემატება მის წინანდელ ღირებულებას.

მოსახლეობის სოციალური დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გამოყენებული ერთი კუბური მეტრი აირის ფასი 200 კუპონით არის განსაზღვრული.

არანაკლებ საგრძნობლად გაიზარდა ელექტროენერგიის ტარიფებიც. ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიისათვის ყველა კატეგორიის მომხმარებელმა ამიერიდან უნდა გადაიხადოს 600 კუპონი, რაც შვიდჯერ და მეტად აღემატება მის წინანდელ ღირებულებას. მოსახლეობას კი ყოველი კილოვატსაათი ამიერიდან 100 კუპონი დაუჯდება. სხვათა შორის, ამავე სხდომაზე განიხილეს ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მიერ ენერგორესურსების მოხმარებისათვის დავალიანების დაფარვის საკითხი. მიმდინარე წლის 29 ნოემბრის მდგომარეობით სახელმწიფოსადმი მათმა საერთო დავალიანებამ 129,7 მილიარდი კუპონი შეადგინა: ელექტროენერგიისათვის — 40,6 მილიარდი კუპონი, ნავთობპროდუქტებისათვის — 41,5, ბუნებრივი აირისათვის — 17,6 მილიარდი კუპონი. მიღებულ დადგენილებაში მინისტრთა კაბინეტმა დაავალა ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიულ ორგანოებს სათბობ-ენერგეტიკული მომარაგების სამსახურებთან ერთად განახორციელონ რადიკალური ღონისძიებანი მთელი დავალიანების, რაც შეიძლება მოკლე ვადაში დაფარვის მიზნით.

დღის წესრიგის საკითხების განხილვის შემდეგ სიტყვა აიღო ედუარდ შევარდნაძემ. მან, კერძოდ, თქვა, რომ საჭიროა 20-25 დეკემბრისათვის პარლამენტის განსახილველად წარადგინონ მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა, დაამტკიცონ მისი აპარატის სტრუქტურა, რომელიც, როგორც სახელმწიფოს მეთაურს მიაჩნია, შეიძლება უმტკივნეულოდ შემცირდეს ოცი პროცენტით. ამასთან, აღინიშნა, რომ გადაუდებელია რესპუბლიკის მომავალი წლის ბიუჯეტის კონდიციამდე დაყვანა და დამტკიცება, რომელიც მისი შედგენის ყველა ობიექტური სირთულეების მიუხედავად, დროულად უნდა იქნეს მიღებული. დაუშვებელია, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, რომ ქვეყანა ცხოვრობდეს და მუშაობდეს დაუმტკიცებელი ბიუჯეტით, როგორც ეს ხდებოდა მიმდინარე წელს.

ჩვენ გავიმარჯვებთ!

...გულო, გაკლდევდი, გამაგრდი,
ნისლი ნუ გადაგიფარა:
თუ აქომამდე გავძელით,
დღის მტერი გაგვტეხს ვიღარა.
ვაჟა.

უპირველესად, მინდა ვთქვა, რომ მე აფხაზეთის ბრძოლებში დამარცხებული ქვეყნის ერთ-ერთი რიგითი ჯარისკაცი ვარ და სრულად ვინაწილებ მთელ პასუხისმგებლობას სამხედრო წარუმატებლობისთვის. ისიც მართალია, რომ მტერმა ქალაქები დაგვინგრია, ხალხი დაგვიხოცა, დროებით მიწა-წყალიც წაგვართვა, მაგრამ მეომრებად კი გვაქცია. და თუ ომის დასაწყისში 5-6 გადამთიელს ათობით ქართველი მეომრის შეჩერება და უკუგდება შეეძლო, დღეს ვითარება ჩვენს სასიკეთოდ შემობრუნდა. ქართველში სამხედრო გენმა იმძლავრა და სოხუმის ხანგრძლივმა ბრძოლებმა გვიჩვენა, რომ ახლა ორ ქართველს ათი და მეტი მტრის მოგერიება შეუძლია და არც ვაჟკაცობითა და არც ბრძოლის უნარით ჩამოუვარდება რუსეთის ჯარში გაწვრთნილ მეომრებს.

ხშირია კითხვა, თუ რა მოგვცა სამშვიდობო ხელშეკრულებებმა, და ომის ორჯერ დროებით შეწყვეტამ. ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი დრო და საშუალება გვქონდა, მაშინვე ჩვენს სასარგებლოდ რომ გადაგვეწყვიტა ომის ბედი. სულ სხვაა, თუ როგორ გამოვიყენეთ ეს საშუალება. დაზავება კი საჭირო იყო, განსაკუთრებით — მეორე „ტაიმ-აუტი", როდესაც საქართველომ მშვიდობის გარანტად რუსეთი დაასახელა და მიაღწია კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო ორგანიზაციათა მეთვალყურეების შემოსვლას, ამით მან მთელ მსოფლიოს, უპირველესად, რუსეთისვე პირით გააგებინა, რომ რუსეთი არ შეიძლება იყოს მშვიდობის გარანტი. ხოლო მეორე კი უმთავრესი: საერთაშორისო მეთვალყურეებმა და თავად რუსეთმაც დაადასტურეს, რომ საქართველო კი არ ჩაგრავს აფხაზეთს, არამედ იმპერია აფხაზეთის საბაბით და მისი ნიღბით ებრძვის საქართველოს.

მე არ მითქვამს, რეაქციული რუსეთი, საერთოდ არ ვყოფ რუსეთს რეაქციულად და დემოკრატიულად, რამეთუ რუსებს რუსეთის იმპერიის აღდგენა და გაძლიერება სურთ. რუსი ახალგაზრდა, დამპყრობი ერია. ამას მისი ბოლო 300 წლის ისტორიაც ადასტურებს. ყველა ქართველს კი, ერთიანი, ძლიერი საქართველო უნდა. აქ უკვე ჩვენი და რუსეთის ინტერესები მკვეთრად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამიტომაც, როდესაც ხაზბულატოვისა და რუცკოის დაპატიმრების შემდეგ მავანი ფიქრობს, რომ ცუდი რუსეთი დამარცხდა და ახლა კარგი რუსეთი დაკარგულ აფხაზეთს უკან დაგვიბრუნებს, ძალიან ცდება. რუსეთს უნდა საქართველო. ძალიან უნდა!.. მაშინაც, უნდოდა და ახლაც უნდა. უპირველესად, მთლიანად, ან ტერიტორიული ოლქის სახით, ან შეიძლება რესპუბლიკად რუსეთის ფედერაციაში, ან რესპუბლიკად სსრკ-ში, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისდამი ძალზე კეთილგანწყობილ ძლიერ სახელმწიფოდ, რომელიც ბუნებრივი ბუფერის როლს შეასრულებს მასა და ისლამურ ქვეყნებს შორის. ხოლო, რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, რუსეთთან აუცილებლად უნდა გვქონდეს შესაძლო თანასწორუფლებიანი ურთიერთობა და თუ როგორი იქნება ეს კავშირი — საქართველო რუსეთის ნაწილი იქნება, თუ ძლიერი სახელმწიფო, ეს მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენი ინტელექტუალური, მატერიალური, ფიზიკური პოტენციალის დროულ ამოქმედებაზე.

ჩვენ გავიმარჯვებთ! თუნდაც იმიტომ, რომ ამ ომში მტერმა გამოიყენა ყველაზე უკეთესი, რაც კი რუსეთის ჯარს გააჩნდა — იარაღი, ჯავშანტექნიკა, სამხედრო პროფესიული ცოდნა, „სპეცნაზი". და თუ არა უჩამჩირის დაჯგუფების ღალატი, სოხუმის ბედი ცოტა სხვაგვარად გადაწყდებოდა.

ჩვენ გავიმარჯვებთ მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოში — აფხაზეთში თუ სამაჩაბლოში — ჩვენი მტერი მოსვენებას დაჰკარგავს, როცა, დღისით, და ღამით ყოველ მხრივ, საფრთხე დაემუქრება, როცა ყოველდღე ასობით დახოცილს გაიტანს სამშობლოში. ომია და ომს თავისი კანონები აქვს. სანამ მტერს შენი არ შეეშინდება, სანამ შენს ძლიერებას ქედს არ მოუდრეკს, მანამ დამარცხებული იქნები. ან შენ, ან ის. ალტერნატივა გამორიცხულია.

მე ასე ვფიქრობ!

ჩვენ გავიმარჯვებთ! მაგრამ ომის იდეოლოგიაც უნდა შევცვალოთ. ყველაფერს თავისი სახელი ვუწოდოთ, თავის დროზე, როდესაც რუსეთი გერმანიას ებრძოდა, არავის აზრად არ მოსვლია გერმანული კულტურა, მეცნიერება, ან გერმანელი ერი მტრად გამოეცხადებინათ. რუსეთი ებრძოდა გერმანულ ფაშიზმს. და სამართლიანად დაამარცხა. ამ ომში ჩვენ ვებრძვით აფხაზურ, ოსურ, ქართულ ფაშიზმს. ეს არავითარი ძმათამკვლელი ომი არაა. ეს სამამულო ომია. და თუ გადარჩენა გვინდა, უნდა გავიმარჯვოთ.

ჩვენ გავიმარჯვებთ! მაგრამ, ამისთვის აუცილებელია სრული მობილიზაცია, რადგან მარტო სახალხო ლაშქრით სამამულო ომს ვერ მოვიგებთ.

ნუ ვიტყვით, რომ მობილიზაციის შემთხვევაში, ყველა ჯარისკაცის ჩასაცმელი არ გვექნება, ნურც იმას, რომ იარაღი ყველას არ ეყოფა. სიღარიბისა არ უნდა შეგვრცხვეს. და როდესაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, აქ უზნეობაა ყოველივე იმის კეთება, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას არ წაადგება. ყველა ქარხანამ, მეურნეობამ, კონცერნმა თუ ფირმამ, ყველა კომერციულმა სტრუქტურამ ჩვენი გამარჯვებისთვის უნდა იმუშაოს. საყოველთაო მობილიზაცია კი უმალ დააყენებს ყველაფერს თავ-თავის ადგილას. საქართველოში ქართველებს გარდა, 80-ზე მეტი ეროვნება ცხოვრობს. სათქმელი ისიცაა, რომ ამ ომებში ძალზე ცოტანი იყვნენ სხვა ეროვნების მებრძოლნი. მობილიზაცია კი ყველას ერთნაირად მოსთხოვს სამშობლოს დაცვას და ყველა ლოზუნგსა თუ მოწოდებაზე უკეთ შეადუღაბებს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერის ხალხს. საქართველოში მუდმივად მცხოვრები ყველა მოქალაქისთვის სამშობლო მხოლოდ საქართველოა. და, ბუნებრივია, მან უნდა დაიცვას თავისი სამშობლო...

ფრონტზე ყოფნისას სომხურ დელეგაციას შევხვდი, რომელიც ამტკიცებდა, ეს ომი აფხაზეთში სომხურ დიასპორას ხომ არ აწუხებსო. ის იყო, გაგრიდან ჩვენი მებრძოლი საგრძელიანი ჩამოვასვენეთ სოხუმში. თბილისში მიგვყავდა. კიდევ ორი მიცვალებული იდო ვერტმფრენის ჩრდილში. დაჭრილი მეომრები იქვე პურსა ჭამდნენ. დაღუპულის ძმაც იქ იყო, ისიც ჩვენი მებრძოლი. სტუმრებს მიცვალებული ვაჩვენე, გმირულად დაიღუპა, თქვენიანია-მეთქი. ძმას არც მიუსამძიმრეს. ეს მაგისი საქმე იყოო, — მომიგეს მშვიდად. ჩვენ ნეიტრალიტეტს ვიცავთო და აქ მცხოვრებ სომხებსაც ამას მოვუწოდებთო.

რა კარგია, ცხოვრობდე ამ მიწაზე, იყო მისი მოქალაქე, სარგებლობდე მისი ყველა სიკეთით და გაჭირვების დროს ნეიტრალიტეტს იცავდე. არა! ნეიტრალიტეტს კი არა, სამშობლოს უნდა იცავდე. ორი აზრი აქ არ არსებობს. სამწუხაროდ, გაგრისა და სოხუმში ჩვენ ბევრი სხვა რამეც შეგვეშალა, და დღეს კი ის ბიჭები, რომლებიც საქართველოს ერთიანობას უნდა იცავდნენ, მტერმა გაიწვია ჯარში და ახლა ჩვენს წინააღმდეგ მომართული ავტომატებით დგანან. ეს მათი და ჩვენი ტრაგედიაა, ნაწილობრივ ჩვენი დანაშაულიც. როცა სამშობლოს უჭირს, ნეიტრალიტეტს სახეშეცვლილი ღალატი ჰქვია. სამშობლო უპირველეს ყოვლისა! — ეს უნდა შეითვისოს ყველამ. განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, პროფესიისა თუ პოლიტიკური მიმართულებისა. ომის წარმოებისთვის აუცილებელია ქართული ჯარის, განსაკუთრებით მეთაურთა პროფესიული დონის ამაღლება და კადრების გადახალისება. ყოვლად გაუმართლებელია რუსეთის ჯარში ნამსახური ქართველი ოფიცრების გამოცდილების უგულებელყოფა.

ერთ დროს ავტოინსპექციაში ოფიცრის ჩინი გაუქმდა. სირცხვილია, გენერლის მუნდირს ატარებდეს კაცი, ვინც რუკის ცნობა არ იცის, და ვერ არჩევს თუ რა არის სამხედრო სტრატეგია, ტაქტიკა თუ ტექნიკა.

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნისაგან

ნოემბრის უკანასკნელ დღეებში შავი ზღვის ფლოტის ხომალდებმა დატოვეს ქალაქ ფოთის ნავსადგურის აკვატორია, სადაც ისინი იმყოფებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და შავი ზღვის ფლოტის სარდლობას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. წინათ ფლოტის სარდალმა ადმირალმა ედუარდ ბალტინმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნის შეკითხვაზე პასუხად განმარტა, რომ მედესანტე მეზღვაურები ფოთსა და დასავლეთის სხვა რაიონებში იქნებიან რეგიონში ვითარების სრულ სტაბილიზაციამდე და საკონტროლო ტერიტორიას დატოვებდნენ რესპუბლიკის მთავრობასთან შესაბამისი კონსულტაციებისა და ამ საკითხზე ერთობლივ გადაწყვეტილებათა შემუშავების შემდეგ.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ხელშეკრულების ყველა პირობა როდი შესრულდა. 30 ნოემბრისათვის შავი ზღვის ფლოტის ხომალდებმა პირად შემადგენლობასთან ერთად დატოვეს ქალაქ ფოთის ნავსადგური ყოფნის ქვეყნის ხელისუფლებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. ამავე დროს, 1993 წლის 3 ნოემბერს ფოთში ხელშემკვრელ მხარეთა — შავი ზღვის ფლოტის სარდალსა და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს შორის დადებული შეთანხმების მერვე მუხლში ნათქვამია: „ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის სამთავრობათშორისო დოკუმენტების ხელმოწერამდე".

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი, ჯეროვნად აფასებს რა ჩვენი ქვეყნისათვის სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის უმძიმეს პერიოდში გაწეულ დახმარებას, იძულებულია ამასთან აღნიშნოს, რომ დაირღვა გაყვანის დათქმული პირობები და ამის თაობაზე გამოთქვას სინანული. საქართველოს ხელმძღვანელობას შავი ზღვის ფლოტის ხომალდების გაყვანის მიზეზების შესახებ ინფორმაცია არა აქვს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივნის განცხადება

„ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შექმნა ახალი კომპარტიის გამოჩენად მიიჩნია", — ასეთი ცნობა გაავრცელა 30 ნოემბერს სააგენტო „პოსტფაქტუმმა" ყოფილი პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას გამონათქვამების შესახებ, რომელიც საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამით გამოვიდა. „პოსტფაქტუმი" იმოწმებს სააგენტო „იბერიას".

არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს თვალსაზრისმა, რომლის თანახმადაც „ფაქტობრივად იქმნება საქართველოს კომპარტია, ოღონდ სხვა სახელწოდებით". ამ მტკიცებას თან ახლავს შემდეგი მოსაზრებები: „...მით უმეტეს, რომ შეიქმნება რეგიონალური ორგანიზაციები, აგრეთვე ამ კავშირს ეყოლება კოლექტიური წევრები".

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნომ საჭიროდ ცნო ამ ინფორმაციის განმარტება ეთხოვა ედუარდ შევარდნაძისათვის.

„ამგვარი განცხადებანი უფრო მეტად უნდა მივიჩნიოთ იმის შედეგად, რომ ავტორები ელემენტარულად საქმეში არ არიან ჩახედულები და იჩენენ პოლიტიკურ უპასუხისმგებლობას,—თქვა სახელმწიფოს მეთაურმა. —ეს, იქნებ, იმ ადამიანთა დანაშაული კი არა, უბედურებაა, რომლებმაც ხშირად არ იციან, თუ რაზე უნდა იმსჯელონ. საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა, თუ მოკლედ ვიტყვით, ჩვენი საზოგადოება უნდა გააერთიანოს და დარაზმოს სხვადასხვა პარტიები, ორგანიზაციები, მოძრაობები იმისათვის, რომ ქვეყანა აუცილებლად და გადაუდებლად გამოიყვანონ სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური კრიზისიდან და შეუქმნან ხელშემწყობი პირობები ყველა ცნობილი ამბებით განაწამებ ხალხს, საქართველოს ყველა მოქალაქეს ცხოვრებისა და საქმიანობისათვის, რომელთაგან თითოეულმა ყველაფერი უნდა იღონოს ამ მიზნების მისაღწევად.

ლაპარაკი კომუნისტური სტრუქტურების რეანიმაციის ცდების შესახებ, ვფიქრობ, ორიგინალობითა და სიახლით არ გამოირჩევა და ეს პირველად როდი გაისმის.

ძველი სტრუქტურების აღდგენის შესახებ განცხადებანი უსაფუძვლოც არის და არაბუნებრივიც. მესმის, რომ ეს გარკვეულ მიზნებს ისახავს, მაგრამ იბადება კითხვა: რა საჭიროა ფაქტების ასეთი უხეში დამახინჯება? მით უმეტეს, რომ ხალხის დაშინებას არარსებული საშიშროებით უკვე ყავლი გაუვიდა".

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

უნგრეთის ელჩი გადასცემს რწმუნების სიგელებს

ორშაბათს, 6 დეკემბერს თბილისში ჩამოდის უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **დიორდ ნანოვსკი**. იგი პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს **ედუარდ შევარდნაძეს** გადასცემს რწმუნების სიგელებს, რომლებიც ადასტურებს მისი, როგორც საქართველოში უნგრეთის ელჩის უფლებამოსილებას.

ბატონ ნანოვსკის თბილისში ყოფნის პროგრამა ითვალისწინებს საუბრებს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ოთარ ფაცაციასთან, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან, საქართველოს პარლამენტის სპიკერთან ვახტანგ გოგუაძესთან. დასახულია აგრეთვე შეხვედრები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ალექსანდრე ჩიკვაიძესთან, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან ალბერტ თავხელიძესთან, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარესთან გია ჭანტურიასთან, ქალაქ თბილისის მერთან ნიკოლოზ ლეკიშვილთან.

ელჩის ვიზიტი სამ დღეს გასტანს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი სამძიმარს უცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრს ვლადიმირ კერესელიძეს დედის

ნინა მეფარიშვილი-კერესელიძის

გარდაცვალების გამო.

აჭარის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ ლევანის ძე თამაზაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მე ასე ვფიქრობ!

ჩვენ გავიმარჯვებთ!

(დასასრული)

კარგია, როდესაც ამერიკაში, ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში შეიძლება გაგზავნო ახალგაზრდობა სასწავლებლად, მაგრამ ერთიც საფიქრალია: ჩვენ ამერიკელებისგან განსხვავებით, სულ სხვა მიზნები და ამოცანები გვაქვს. გლობალური, საკონტინენტთაშორისო კრიტერიუმებით მოაზროვნე ოფიცრის გვერდით უნდა გვყავდნენ ჩვენი „კავკასიოლოგებიც", ვიწრო სპეციალისტები, რუსეთის, თურქეთის, ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩეჩნეთის, ადიღელების, კაზაკების, ოსებისა თუ ლეკების სამხედრო პოტენციალის მცოდნენი.

უნდა შევისწავლოთ ჩვენი მეზობლების სამხედრო ისტორია, კულტურა, საყურადღებოა, რომ ისეთმა ძლიერმა ქვეყანამ, როგორიც რუსეთია, მარცხი განიცადა ავღანეთში, ამ წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ დამპყრობმა უგულებელყო მოწინააღმდეგის კულტურა, ეროვნული და სამხედრო პოტენციალი. სრულყოფილად უნდა ვფლობდეთ ომის წარმოების ტრადიციულ ხერხებს. აუცილებლად უნდა გვყავდეს ჩვენი მეთვალყურენიც „ყარაბაღის" ფრონტზეც.

უნდა ვიცოდეთ ჩვენს სამეზობლოში მოქმედი სამხედრო შენაერთების მეთაურთა ვინაობა, ვიდრე ოცმეთაურამდე, შეიარაღების რაობა და ოდენობა. სათუოა, რომ ინგლისი ან ერაყი ჩვენს დასალაშქრად წამოვიდეს. ჩვენი პოტენციური მეკავშირეები თუ მოწინააღმდეგეები ჩვენი მეზობლები იქნებიან. სწორედ ისინი უნდა შევისწავლოთ კარგად.

აფხაზეთის ომმა (და არა კონფლიქტმა) უმდიდრესი გამოცდილება დაგვიტოვა. ამ უზარმაზარ ინფორმაციას აღრიცხვა, კლასიფიკაცია და ღრმა ანალიზი სჭირდება, რაც უკეთ დაგვანახვებს, თუ რა უფრო საჭირო და აუცილებელია დღეს საქართველოს თანამედროვე ჯარის მშენებლობაში.

თითოეული სამხედრო ოპერაცია, ჩვენი თუ მოწინააღმდეგის მიერ ჩატარებული, განსაკუთრებული სიზუსტით უნდა აღინუსხოს და გაანალიზდეს.

საერთოდაც, საგულდაგულოდ უნდა გამოვიძიოთ და კონკრეტული პასუხი მოეთხოვოს გაგრის, სოხუმის თუ ოჩამჩირის დაცემაში დამნაშავე სამხედროებს, საინტენდანტო სამსახურებსა და ყველა ცალკეულ პიროვნებას, განურჩევლად ჩინისა თუ წარსული დამსახურებისა. უნდა დამყარდეს ნამდვილი სამხედრო დისციპლინა, დეზერტირობას, მაროდიორობასა და ღალატს სამხედრო ტრიბუნალით გაეცეთ პასუხი.

საქართველოს საომარი ვითარება აქვს აფხაზეთში. აუცილებლად დღესვე უნდა გავაძლიეროთ პარტიზანული ბრძოლა, არავითარი ხელშეკრულებები და შეთანხმებები ქართველთა გენოციდის მამამთავარ არძინბასთან, არც ბრძოლის შეწყვეტაზე, არც არავითარი დროებით ზავზე. რუსი ოკუპანტები პარტიზანულმა ომმა გამოაქცია ავღანეთიდან. ჩვენ დასაკარგი აღარაფერი დაგვრჩა. მტერს მტრულად უნდა მოვექცეთ.

უნდა შევუტიოთ, თუნდაც მცირე ძალებით, ოღონდაც შეუსვენებლივ. მიწა უნდა იწვოდეს მტრის ფეხქვეშ.

არის ჯარისკაცის პირადი გამოცდილებაც. ის ოქროს ფონდია, ჩვენი მომავალი გამარჯვების საწინდარი. აღსანუსხავია ყველაფერი, ისიც კი, თუ რომელი ფეხსაცმლით და რა ტანსაცმლით იოლდებოდა ბრძოლა. დასადგენია, ჯარისკაცის დღიური რაციონიც. აქ სამუშაო თავსაყრელი აქვთ ფსიქოლოგებსა და დიეტოლოგებს, მოდელიორებსა და მრავალ სხვა სამოქალაქო სპეციალისტს, რომლებიც სამხედროებთან ერთად მომავალი ქართული ჯარის შექმნას დაიწყებენ.

სულ სხვისი იმედით ვერ ვიქნებით, ზოგი რამ მტრისგანაც ვისწავლოთ. ომის დასაწყისში, ფაქტობრივად, ალყაშემორტყმული ტყვარჩელი ქალაქის სახელოსნოებში დამზადებულ ნაღმტყორცნებსა და „მაკაროვის" ტყვიაზე გათვლილ ავტომატებს გვიშენდა. მხოლოდ ჩვენი ზოზინის ბრალია, რომ მაშინ მტერმა ტყვარჩელის გამაგრება მოასწრო, ისინი უფრო მეტი გაძლიერდნენ, როდესაც, ვითომც განადგურებული დესანტი მიიღეს. ლოზუნგი „ყველაფერი ფრონტისათვის" ჩვენთვის კი ჯერჯერობით, მხოლოდ კედელზე გაკრულ ლოზუნგად რჩება.

პარტიზანულ ომში ყველაზე ეფექტიანი რადიო და საათის მექანიზმიანი ნაღმებია, მცირეკალიბრიანი ნაღმტყორცნები, ყუმბარმტყორცნები, რომელთა დამზადება საქართველოს ათასზე მეტ საწარმოს შეუძლია. შეუძლია ეგრეთ წოდებული „პოდსტვოლნიკის", რომლის ფასი დღეს ასტრონომიულია, ან თუნდაც „პეპლას" დამზადებაც. ამას მხოლოდ მონდომება უნდა და მეტი არაფერი. და ჩვენ შეგვიძლია გარკვეული იარაღის ექსპორტიორებიც გავხდეთ და ამითაც შევეშველოთ ქვეყნის ბიუჯეტს.

არის მრავალი ჯარისკაცის, ოფიცრის უმდიდრესი პირადი გამოცდილება, დარწმუნებული ვარ, აფხაზურ ფორმირებებში მოქმედი რუსი სამხედროები არა მარტო პირადად იბრძოდნენ. არამედ გულდასმით იწერდნენ და სწავლობდნენ „კავკასიის ომის" ყველა წვრილმანს. აქ არა მარტო ზღვის კლიმატის და მთიან პირობებში ბრძოლის გამოცდილებაა, არამედ ამ ომში მოქმედი ყველა ეროვნების მებრძოლის თვისებათა ცალ-ცალკე გაანალიზება, მათი ფსიქოლოგიური პორტრეტის ჩამოყალიბებაა.

ტაქტიკის მხრივ, ეს ომი მეტად პრიმიტიული იყო. საქართველოს კვლავ მრავალი ომის გადახდა მოუწევს და ყველა წინაზე უფრო რთული, ძნელი და მზაკვრული იქნება, რადგან, ჩვენთან ერთად მტერიც ჭკვიანდება, ძლიერდება, იარაღდება.

ოჩამჩირეში ყოფნისას აფხაზთა ყველა შემოტევა წინასწარ ვიცოდი და შტაბს ვატყობინებდი, რისთვისაც შტაბში ერთხელ „კომპლიმენტიც" დავიმსახურე: „...აფხაზებთან შეკრული ხომ არა ხარ, სულ რომ მართლდება შენი ნათქვამიო"... ყველაფერი კი ძალიან მარტივად იყო.

ჯერ ერთი, ფრონტის წინა ხაზზე განლაგებული ჩემი ბატალიონი ყოველდღიურ აქტიურ დაზვერვას აწარმოებდა და ხშირად მოინეებიც გვყავდა. მტრის გააქტიურებაზე ინფორმაციას გვაწვდიდნენ ფრონტს „იქით" მყოფი ქართველებიც. ამას გარდა, იყო უტყუარი ნიშანიც. მტრის შემოტევისწინა საღამოს ჩვენთან გამოჩნდებოდნენ ხოლმე მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, რომელთაც ჩანთები სავსე ჰქონდათ სანოვაგით, სასმელით, ჩხრეკისას ძლიერი ტკივილგამაყუჩებლებიც აღმოვუჩინე — „მაქსიგანი" და სუფთა ნარკოტიკებიც... ჩვენი ბიჭების დასაძაბუნებლად მოდიოდნენ.

ამას გარდა, ჩემი მზვერავები აფხაზთა შემოტევის წინა დღით პულობდნენ ხოლმე კონიაკით სავსე პარკებს, რომლებიც მოწინააღმდეგეთ რატომღაც „შემთხვევით" რჩებოდათ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ჩვენი პოზიციების პირდაპირ მდებარე მიტოვებულ სახლებში გამოსაჩენ ადგილებზე. მტერს თავიდან ვერ წარმოედგინა, რომ კონიაკს ჩვენ გავანადგურებდით, რადგანაც ფრონტის სხვა მონაკვეთებზე ამ ნარკოტიკის მოყვარულები ბევრნი იყვნენ.

სამწუხაროდ, შეტევის წინა დღეებში ჩვენს პოზიციებზე მოდიოდნენ „გულმოწყალე" ქართველებიც ღვინითა და სანოვაგით დატვირთულნი. შეიძლება ხანდახან შემთხვევითაც თანხვდებოდა ერთმანეთს ეს ყველაფერი. მაგრამ ერთი კია, მტერს საუკეთესო დაზვერვა ჰქონდა.

ასეთივე ტაქტიკა ჰქონდათ აფხაზებს გაგრის დაცემის წინა დღეებშიც. იქაც ჩვენი მებრძოლები „შემთხვევით" აღმოაჩენდნენ ხოლმე ღვინით, კონიაკით სავსე სარდაფებს.

ამაზე გაგრის ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე ვესაუბრეთ მე და ბატონმა მიხეილ მარინაშვილმა, შტაბის უფროსმა მიშა გამკაძემ, მეორე ბატალიონის მეთაურმა სერგო მინაშვილმა...

აუცილებელია, თითოეულ ნაწილში, ასეულში, ოცეულში მუშაობდეს უშიშროების წარმომადგენელი. უნდა იყვნენ „ქამთააღმწერლები", რომლებიც დააფიქსირებენ ყველა შემთხვევას, ცვლილებას სამხედრო ნაწილებში და ფრონტის ხაზზე. უამისოდ დისციპლინა ვერ დამყარდება.

უნდა გამოვლინდეს და შეისწავლოს მტერს დანებებისას, იარაღის ჩაბარების ყველა შემთხვევა: რაც, თავისთავად, ღალატის ტოლფასია. შეიძლება ტყვედ ჩავარდეს დაჭრილი, ერთი-ორი კაცი, მაგრამ ოცი, ასი კაცი? ტანკები? ასეთი ფაქტები უნდა გაანალიზდეს და მკაცრად დაისაჯოს ყველა დამნაშავე.

დღევანდელ პირობებში პარტიზანული ომი საქართველოს გადარჩენის თითქმის ერთადერთი გზაა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ვებრძვით არა არმიებს, არამედ დაქირავებულ მკვლელებს, და ისინი უნდა განადგურდნენ, ამაში ვერავინ დაგვეხმარება, მას ჩვენ უნდა მივხედოთ.

პაპაჩემმა, იოსებ იმედაშვილმა, ქართველ-სომეხთა ომისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ რომანში „განახლებული ცხოვრება", ქართველი ჯარის ბედოვლათობის მრავალი მაგალითი აღწერა, რომელიც სამოცდაათი წლის შემდეგ კვლავ განმეორდა. ქართველები დღისით მძიმე ბრძოლებით იღებდნენ სტრატეგიულ სიმაღლეებს, საღამოთი კი ტოვებდნენ და ბარში ჩამოდიოდნენ საჭმელად და გასათბობად. მტერი კი ამასობაში უბრძოლველად იკავებდა დროებით დათმობილ პოზიციებს, მიტოვებულ სანგრებს და მეორე დილით ქართველებს ისევ ბრძოლით უხდებოდათ ამ სიმაღლეების დაბრუნება. თითქმის ასევე იყო აფხაზეთის ფრონტზე.

საქართველომ 1993 წლის აფხაზური კამპანია წააგო. წააგო ისე, რომ ფაქტობრივად არც უბრძოლია (მე არა მაქვს მხედველობაში იმ ბიჭების თავგანწირვა, რომლებიც ამ ომს შეეწირნენ). მებრძოლთა რაოდენობაზე ვლაპარაკობ. მეორე მსოფლიო ომში რუსეთის მხარეს საქართველოს ასი ათასობით მეომარი იბრძოდა. საერთოდ, სხვის ომში ყოველთვის მაგრები ვიყავით. ასასინთა ლეგენდარული იმპერიაც ქართველების დანგრეულია. ნაპოლეონის წინააღმდეგ პეტრე ბაგრატიონის გარდა, ასევე ათასობით ქართველიც შეეწირა რუსეთის ძლიერებას. და ამ მართლაც სამამულო ომში კი საქართველოს გასაწვევთა ერთ მეასედსაც არ მიუღია მონაწილეობა. უზარმაზარი სამხედრო პოტენციალის მქონე მრეწველობას კი თითიც არ გაუტოკებია, ერთი ქვემეხი, ერთი ნაღმსატყორცნი, ერთი ტყვიაც არ დაუმზადებია, მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომის დროს მთელი საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ომს ემსახურებოდა. რამდენი ჩვენი მებრძოლი გადარჩებოდა, ქართულ ჯავშანჟილეტს საკონსტრუქტოროდან ბრძოლის ველზე რომ გამოეღწია. როგორც ვიცი, დამფინანსებლები ვერ მოინახა. არადა, რამდენჯერმე იაფიც იყო ყველა უცხოურზე, რუსულზეც და სიმტკიცითაც ბევრ მათგანს სჯობდა. საქართველოს ფული არა აქვს ისრაელის მსგავსად უთანამედროვესი იარაღის შესაძენად და ამ ომმა ისიც გვიჩვენა, რომ დასავლეთი არ ჩქარობს ჩვენთან ნატოს ჯარების შემოყვანას და არც ჩვენი მებრძოლების სათანადოდ შეიარაღებას.

თქვენს თავს თვითონ მოუარეთო! — ისმის უცხო ქვეყნებიდან შეფარვით ნათქვამი. საკუთარ სახლს უცხო ვერ დაგიცავს. სხვისი დახმარების ლოდინი კი სიკვდილის ტოლფასია.

განვლილი ომის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩრდილოკავკასიელი ბანდიტების წინააღმდეგ საბრძოლო აღჭურვილობის დამზადება საქართველოს არ გაუჭირდება.

მთელი უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე არ შეჩერებულა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ათასობით უსახელო ჭეშმარიტი გმირი დაეცა ამ უთანასწორო ბრძოლებში. მათ ვინაობას საგულდაგულოდ მალავდა, აბიაბრუებდა იმპერიის სპეცსამსახური. სამაგიეროდ, სამშობლოს გამყიდველებსა და მოღალატეებს ეროვნული გმირის მანტიით მოსავდა, და თუ ერთბაშად ვერ ანადგურებდა ეროვნული მოძრაობის მოთავეებს, ცდილობდა, ისინი ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა. გათიშე და იბატონე! — ეს იმპერიული კანონი დღესაც მოქმედებს და მას ლომის წილი უდევს აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს ტრაგედიაში.

ამავე დროს იმპერიული ძალები ყოველნაირი ხერხით ცდილობდნენ ჩაეგონებინათ ქართველებისთვის, რომ ქართველები მხოლოდ სიმღერა-გართობისთვის არიან დაბადებულნი და სხვა დანარჩენს მათ მაგივრად იმპერია შეასრულებსო. ქარხანაშიც და მიწის მუშადაც სხვები იმუშავებენ და ქვეყნის საზღვარსაც სხვა დაიცავს. და დღეს, როდესაც, რეალურად დადგა ქვეყნის საზღვრების დაცვისა და მოსახლეობის დაპურების საკითხი, მრავალი ქართველი უმწეოდ შლის ხელებს, მე ჯარში არ მიმსახურია, თითქოს თავის ქებით ამბობს, და იმის ნაცვლად, რომ სახნისი ყანაში და ვენახში გაიხმაროს, საგულდაგულოდ ახვევს და თურქეთში მიარბენინებს გასაყიდად, რადგან, ისევე რუსეთისა თუ სხვისი ჰუმანური დახმარების იმედი აქვს.

საერთოდ, ჩემი რწმენით, მამაკაცს ორი მთავარი ფუნქცია აკისრია: გვარის, ჯიშის გაგრძელება, შვილის ყოლა და თავისუფლების, თავისი უფლების დაცვა მიწა-წყლის იმ ნაწილზე, სადაც მის წინაპრებს უცხოვრიათ და შთამომავლობამ უნდა იცხოვროს.

განგებამ ჩვენს თაობას უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა. როგორც ვხედავთ, საუკუნეების ბოლო ათწლეულში საქართველო თანდათან კარგავს თავის გეოპოლიტიკურ სახეს, ტერიტორიებს, გავლენის სფეროებს. და დღეს, როდესაც აზერბაიჯანს სომხეთი ეცილება ყარაბაღს, აღარავის ახსოვს, რომ ეს ადგილები — ლორე — უწინ ქართული მიწა იყო... ლორე, სამწუხაროდ, ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია, ისევე, როგორც სოჭი, ისევე როგორც, ბილაქანი და კახი... ეს ჩვენი წინაპრების ბედოვლათობის, ურთიერთქიშპობისა თუ გაუკუღმართებული ცხოვრების შედეგია.

ჩვენ ზღვარსგადასული ამბიციებით, უჭკუობით, ფიზიკური თუ სულიერი სისუსტის წყალობით შევაძლებინეთ მტერს საქართველოსთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო მოეწყვიტა... დღეს ყოველივე ქართული ნადგურდება ამ მიწებზე და ყოველი წუთი ჩვენი უმოქმედობისა მტრის წისქვილზე უშვებს წყალს.

ვიყოთ რეალურნი: არავინ ჩვენი გულისთვის ჯარს არ შემოიყვანს აფხაზეთში, რადგან, საქართველო კუვეიტი არაა და არც ერაყია რუსეთი, მსოფლიო საზოგადოებრიობა დაგმობს აფხაზ სეპარატისტებს, იზოლირებს კიდეც რამდენიმე თვე და დაწყნარდება.

რუსეთი მალე შეუწყვეტს არძინბას ეკონომიკურ ბლოკადას. შემდგომში კი ამ მხარეებში დიდი დაფინანსებით ათასჯერ უკეთესი წალკოტი აშენდება, ადგება სანატორიუმებიც, საკვებითაც უკეთესად მომარაგდება, ვიდრე თვად მოსკოვი. მერე მოინახება რამდენიმე ასეული ქართველი, რომლებიც იტყვიან, რომ აფხაზეთში ახლა ცხოვრობენ ყველაზე თავისუფლად და ლაღად. აფხაზეთი ტოპონიმიკურ ერთეულად დარჩება, რადგანაც, თავად იქ დარჩენილ აფხაზებსაც წალეკავენ კაზაკები, სომხები, ადიღეები, ჩეჩნები და ათიოდ წელიწადში ვიზა დაგვჭირდება სოხუმში ჩასასვლელად, სადაც აღარც ბანდიტობა იქნება, აღარც შიმშილი, და, რასაკვირველია, არც ის „მოძალადე, შოვინისტი" ქართველებიც, რომლებშიც ამ ქვეყნის წინსვლას მხოლოდ ამუხრუჭებდნენ... ასე სამუდამოდ დაიკარგება აფხაზეთი და სამაჩაბლო, ხოლო როდესაც ყარაბაღის ომი მინელდება, საქართველო ქვემო ქართლსაც დაჰკარგავს..

ეს ყველაფერი ახლა ხდება! ნაწილი უკვე მოხდა!..

ჩვენ კი დღემდე ვერ დაგვიდგენია, ამ სამამულო ომსა და აშკარა ინტერვენციას. სეპარატისტებთან კონფლიქტი თუ ძმათამკვლელი ომი დავუძახოთ...

დღეს ჩვენი თაობის გამოცდის ჯერია. ვიყოთ ღირსეულნი სიტყვისა საქართველო, რომელიც უპირველესად, ქართველების სასახლო ადგილს ნიშნავს!..

ჩვენ გავიმარჯვებთ! ოღონდ მაშინ, როდესაც ყველანი სამუდამოდ ვირწმუნებთ, რომ გადარჩენა მხოლოდ ამ უკვე ყველასგან თითქმის გაცვეთილ სიტყვა ერთობაშია. ბოლო ხანებში რამდენიმე ნაცნობმა ნიშნისგებით მითხრა, — აი, ხომ ხედავ, ახლა მაინც დარწმუნდი, რომ ეს ომიც იმიტომ დავიწყეთ, „ესენგეში" შევსულიყავითო!..

სიმართლე რომ ვთქვა, ქვეყნის მეთაურის სიტყვებმა — მე გადავწყვიტე თანამეგობრობაში შესვლაო, თავიდან გამაოგნა — რა ხდება, ნუთუ ამისთვის? მეკითხებიან ბევრნი: — შენ ეთანხმები თუ მოწინააღმდეგე ხარ? დღეს ვუპასუხებ:

— მე ვეთანხმები, მე პირადად, და მრავალმა თავად ან თუნდაც ტელევიზიის საშუალებით ნახა, თუ როგორ იბრძოდა ქვეყნის მეთაური საქართველოს თითო გოჯი მიწისთვის. რამდენჯერ საოცრად ახლოს იყო სიკვდილთან და მაინც არ შეუშინდა. ვერავინ დამაბრალებს, რომ მე რომელიმე მთავრობასთან ახლოს ვიყავი, ან ვინმე მათგანი უდესმე მიქია. აქ მე კაცზე, უბრალო მოკვდავზე ვლაპარაკობ და ამიტომაც არ მრცხვენია ამ სიტყვების. კაცმა აჯობა შიშს, შიშს, რომელიც ყველა ჩვენგანშია მეტ-ნაკლებად. უყოყმანოდ გასწირა თავი და ამის არდაუნახაობა სხვა მებრძოლებს არ შეუძლიათ. და ამ უზარმაზარი ავტორიტეტის საყოველთაო აღიარების შემდეგ, როდესაც ეს კაცი აბსოლუტურად არაპოპულარულ გადაწყვეტილებას იღებს, მრავალ მოყვარეს მტრად გადაიქცევს და მაინც მიდის ამაზე, რატომ? მას არც თანამდებობა აკლია და არც სახელი. ალბათ, ეს გადაწყვეტილება მართლა არის ის ერთადერთი გზა, რომელიც საქართველოს ამ საშინელი ჩიხიდან გამოიყვანს. პოლიტიკა დროის მოგების ხელოვნებაა. დღეს ყაზახეთმა გამოაცხადა საკუთარი ვალუტის შემოღება. შესაძლოა, ამან სრულიად წერტილი დაუსვას თანამეგობრობის დღევანდელ სახეს. მე მინდა ვენდო პროფესიონალებს. ქართველებო, დავფიქრდეთ! ძალზე ძნელ გზას შევდგომივართ. აჩქარებითა და ემოციებით ლამის უკვე დავღუპეთ ქვეყანა. ერთადერთი, ვფიქრობ, არაა საჭირო — თანამეგობრობაში შესვლის თაობაზე სახალხო რეფერენდუმის მოწყობა. სჯობს, ეს გადაწყვეტილება, დარჩეს ერთი კაცის გადაწყვეტილებად. მას აქვს ამისი უფლება. მეთაურმა თავის თავზე აიღო გადაწყვეტილებისთვის პასუხისმგებლობა. ნუღარ გავარჩევთ მას, დინჯად დაველოდოთ სიტუაციის განვითარებას.

მოწინააღმდეგემ კედელთან მიგვაყენა: ან სახელმწიფოებრივი სიკვდილი, ნგრევა, განუკითხაობა, ყაჩაღობა, უცხოეთში გახიზვნა, ან ეროვნული გამარჯვება, ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა, თავისუფლება!

არჩევანი ჩვენზეა!..

მიხო მორჩილაძე,
მწერალი.

„ღვინობისთვის 21-დან თბილისში დღიურად თითო კაცს ეძლევა 3/4 გირვანქა პური".

ამას გაზეთი „საქართველო" 1917 წელს იუწყებოდა. გირვანქა 405,5 გრამია.

დღეს?...

როცა გშია ზაქარია...

პური ბარათებით გაიცემა

ამასწინათ ფილარმონიაში თბილისელთა შეკრება რომ დამთავრდა, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე პარლამენტის შენობისკენ ფეხით გაემართა. გზად პურის მაღაზიასთან შეჩერდა და ლოდინში ფეხზე ჩამომწყდარ ხალხს დღევანდელ გაჭირვებულ ყოფაზე გაესაუბრა. როგორღაც ვითმენთ და კიდეც მოვითმენთ, ოღონდ მშვიდობა იყოსო, უპასუხეს.

მოთმინება დიდი ნიჭია, მაგრამ მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი? ჩვენ რომ ამ ზღვართან უკვე ვდგავართ, მთავრობამაც და ხელისუფლებამაც ჩინებულად იცის. არც ის ენაღვლებათ, რაც ზღვარს გადასვლის შემდეგ შეიძლება მოხდეს და.. თითქოს გამოინახა საშველი: თბილისში დროებით პურის ნორმირებული ვაჭრობა წესდება, ერთ სულზე 300 გრამი ქარხნული პური სპეციალური ბარათებით გაიცემა. იგივე ბარათებით თვეში ერთხელ გაიცემა ფქვილი, სულზე 8 კილოგრამის რაოდენობით მაინც.

ბარათები უკვე მზად არის.

დეკემბრისა ცისფერი ბარათი ავიღეთ კიდეც (ყოველ მომდევნო თვეში სხვადასხვა ფერის იქნება). ფქვილი გაიყიდება იმ სასურსათო მაღაზიებში, სადაც სიით ვიღებდით სხვა პროდუქტებს. ფასი პურის ფასის შესაბამისი იქნება. ბარათებით ფქვილის გაცემა დაიწყება 4 დეკემბრიდან, პურისა, 5 დეკემბრიდან.

ოჯახის ნებისმიერი წევრი ყოველგვარი დოკუმენტის წარუდგენლად დადგენილი ნორმის ოდენობის პურს მიიღებს ბარათზე გამყიდველის მიერ თვის კალენდარული დღის გადახაზვის შემდეგ.

— ამით ეშველება ვითომ პურის პრობლემას? — შევეკითხე თბილისის მერიის ვიცეპრემიერს **მელორ ტუღუშლაშვილს.**

— თუ პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტი ომარ კაციტაძე სიტყვას არ გადავა და როგორც ივალდებულა, ისე მიაწვდის პურს დედაქალაქს, საბარათო სისტემაც გაამართლებს.

აქტუალური ინტერვიუ

— მარტო პურის გამოცხობა არ არის მთავარი, პროდუქციის ხომ სავაჭრო ქსელში შენახვა და რეალიზაციაც სჭირდება? პურის ქარხნები და საცხობები კი დაუცველია, შეიარაღებულ თუ უცხო პირებს ყოველგვარი ხერხით (ხვეწნა-მუდარის გარდა) გამოაქვთ პური, რაც ხელს უშლის პურის განსაზღვრული რაოდენობით გატანას და მაღაზიებში დაწესებული გრაფიკით შეზიდვას.

— ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველო თავდაცვის სამინისტროსა და ქალაქის კომენდატურასთან ერთად პურის მწარმოებელი ობიექტებისა და სავაჭრო ქსელის საიმედო დაცვაზე მთლიანად იღებს პასუხისმგებლობას

ასევე, ვთხოვეთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს გელა ლანჩავას, შექმნას მობილური ჯგუფები, რომლებიც დაეხმარებიან ქალაქის პოლიციას აღნიშნულ ობიექტებზე თავდასხმებისა და პურის უკანონო გატანის აღკვეთაში. ყოველ ცალკეულ ფაქტზე აღიძრება სისხლის სამართლის საქმე.

— ვთქვათ, დღეს ვერ მოვასწარი პურის აღება. მეკარგება?

— შეგიძლიათ აიღოთ მეორე დღეს, მაგრამ მესამე დღეს — უკვე აღარ.

— შეუძლია თუ არა ჩემი ბარათით ისარგებლოს მეზობელმა, მეგობარმა, ახლობელმა.

— რა თქმა უნდა, ოღონდ იმ მაღაზიაში, სადაც ბარათის მფლობელია მიმაგრებული.

— ვისზე გაიცემა პურის ბარათები?

— თბილისში ჩაწერილ მოქალაქეებზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე (ლტოლვილები, სახელმწიფო და ფასიანი სასწავლებლების სტუდენტები).

— სად იყიდიან პურს ლტოლვილები?

— ქალაქის იმ რაიონის მაღაზიებში, სადაც ის ოჯახები და სასტუმროები იქნებიან მიმაგრებული, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ.

— და ვითომ ამით რიგები მოიხსნება?

— ვფიქრობ — კი. თუ აქამდე 367 მაღაზიაში იყიდებოდა პური, დეკემბრიდან 480-ში გაიყიდება. პურს სარეალიზაციოდ ის სასურსათო მაღაზიებიც მიიღებენ, რომლებშიც მოქალაქეები ადრე სიით იღებდნენ სხვა პროდუქტებს.

— სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებიც სამსახურში იღებდნენ პურს, კვლავ ექნებათ ამის საშუალება?

— არა. პურს სამსახურში მიიღებს მხოლოდ თავდაცვის სამინისტრო ჯარისთვის, ასევე, ჯარისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრო და ის საბიუჯეტო ორგანიზაციები — საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო ბაღები და დახურული სასადილოები, რომლებსაც ადგილზე პურის გამოცხობის საშუალება არა აქვთ.

— საზკვების დიდ ობიექტები — რესტორნები, კაფეები, სახინკლეები და სხვა?

— მათ ქარხნებიდან პურის მიღება კატეგორიულად ეკრძალებათ. ქალაქის მერია ავალდებულებს, რომ კომერციულ საწყისებზე შეიძინონ ფქვილი და თვითონვე უზრუნველყონ მისი გამოცხობა.

— თუ მოქალაქე ჩაწერილია ქალაქის ერთ რაიონში და ცხოვრობს მეორე რაიონში, სად შეიძენს პურს?

— ყოველ პერსონალურ საკითხს გადაწყვეტენ გამგეობები. მათთან შეთანხმებით მაგ საკითხის მოგვარებაც შეიძლება.

— რომელ საათამდე იმუშავებენ პურის მაღაზიები?

— მათს სამუშაო დღის რეჟიმს განსაზღვრავს ადგილობრივი გამგეობები, მაღაზიებზე მიმაგრებული კონტინგენტის სამუშაო ადგილებისა და პურის შეზიდვის გრაფიკის მიხედვით.

— ბატონო მელორ, სავაჭრო ქსელი მზად არის თუ არა, პურით ნორმირებული ვაჭრობისათვის?

— რა თქმა უნდა. მომარაგებულია ზუსტი სასწორები და დანები.

— თუ იქნება კომერციული პური?

— გამოთავისუფლებული პურის საცხობები შეიძენენ ფქვილს კომერციულ საწყისებზე და პურსაც კომერციულ ფასებში გაყიდიან.

როგორც იქნა, ქალაქის მერიამ გულთან მიიტანა ხალხის გასაჭირი და თითქოს გამოსავალიც ნახა — საბარათო სისტემა. ახლა მთავარია, შესრულდეს დადგენილება, რომელიც 26 ნოემბერს თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის სხდომაზე მიიღეს და ფარატინა ქაღალდად არ დარჩეს: ამისათვის კი, როგორც ბატონმა მელორმა თქვა. პირველ ყოვლისა, პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციამ ქალაქის პურის ქარხნები და საცხობები ფქვილის სათანადო მარაგითა და სხვადასხვა დამხმარე მასალებით უნდა უზრუნველყოს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გამოშვებული ნაწარმის წონას, ხარისხსა და ვაჭრობისათვის მიწოდების გრაფიკის უმკაცრესად დაცვას, ასევე, ქალაქის ვაჭრობისა და მომსახურების სამმართველოსთან ერთად უზრუნველყოს ქალაქის რაიონების პურის ცხობის საწარმოებზე მიმაგრება, საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტმა კი, ავტოსატრანსპორტო საწარმოს რეჟიმულ მუშაობით, ხელი უნდა შეუწყოს პურპროდუქტებისა და ფქვილის შეუფერხებელ შეზიდვას.

რა თქმა უნდა, მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს პურით სპეკულაციაზე.

და ბოლოს.

ქალაქის მერია მოსახლეობის სახელით თხოვს შეიარაღებულ პირებს, იმათ, ვინც ყველა ღონეს ხმარობს საცხობებიდან თუ ქარხნებიდან პურის უკანონოდ, ძალით გამოსატანად, ნუღარ ჩაიდენენ მსგავს საქციელს, რადგან ამიერიდან პური მხოლოდ ნორმით გათვალისწინებული რაოდენობით გამოცხვება და ერთი ცალის უკანონოდ გამოტანაც კი, მეზობლის, მეგობრისა და ახლობლის, მთელი დღით უპუროდ დარჩენას ნიშნავს.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ადამიანთა მოტაცებას ერთად ვებრძოლოთ

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგანგებო კოლეგიის სხდომიდან

სამართალდარღვევათა სტატისტიკა არასდროს არ არის დადებითი. სოციალური კატაკლიზმები კი, როგორიცაა ომი, ეკონომიკური კრიზისი, ხალხის გაღატაკება ყოველთვის იწვევს დამნაშავეობის მკვეთრ ზრდას და კრიმინოგენურ დანაშაულთა მრუდი განუზრელად მიიწევს ზევით.

მაგრამ ის, რის გამოც შეიკრიბნენ საგანგებო კოლეგიაზე რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკები, მოიწვიეს უშიშროების, თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებში მომუშავე კოლეგები, რაიონების გამგებლები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, სცილდებოდა ყოველგვარი ანალიზისა და განმარტების ჩარჩოებს.

კოლეგიის დღის წესრიგი ლაკონური და მკაცრი იყო: უკომპრომისო ბრძოლა — ადამიანების გატაცებას.

— დამნაშავეობისა და ბანდიტიზმის თარეში ქვეყანას დესტაბილიზაციით ემუქრება, — თქვა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა.— დამნაშავეთა სამყარო ძლიერ შეიცვალა. ახლა მათი მორევა შიშველი ხელებით შეუძლებელია. ისინი გახდნენ გაცილებით უფრო ცბიერნი, საშიშნი, ვერაგნი. ხშირად გაცილებით უკეთესადაც კი არიან შეიარაღებულნი, ვიდრე სამართალდამცველი ორგანოები. ისინი დააქროლებენ ტყვიაგაუმტარ „მერსედესებს", აქვთ აგენტურის გამართული ქსელი. დამნაშავეებმა შექმნეს ნარკობიზნესის, იარაღით ვაჭრობის, რეკეტების, ახლა კი უკვე თვით ადამიანთა გატაცების მაფიოზური სინდიკატები.

ადამიანთა გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით ვანდალიზმის [illegible] აქტია.

ადამიანების გატაცება ორგანულად უკავშირდება ნარკობიზნესს. ადამიანებს იტაცებენ, რათა შემდეგ რაც შეიძლება მეტი ფული გამოსძალონ მათ და შეიძინონ ნარკოტიკები. არცთუ იშვიათად იტაცებენ ბავშვებს, მოზარდებს — რითაც ფსიქიურ ტრავმას აყენებენ ახალგაზრდა თაობას. ბავშვებს უჩნდებათ შიშის სინდრომი, ისინი ვეღარ ბედავენ ქუჩაში გასვლას, ეშინიათ შინ დარჩენისა.

ადამიანების გატაცება საფრთხეს უქმნის იმ საშუალო ფენასაც, რომელსაც უნდა დაეყრდნოს სახელმწიფო. ესენი არიან ბიზნესმენები, მენეჯერები, ბანკირები და მრავალი სხვა პროფესიის ადამიანები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ქართული ბიზნესის განვითარებას.

კოლეგიამ უნდა შეიმუშაოს ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო ღონისძიებანი, — თქვა შემდეგ ჯამლეთ ბაბილაშვილმა, — შექმნას ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის გამოკვეთილი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მასთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებას. დადგა დრო, რომ ნაბათის ზარებმა კვლავ შემოკრან, რათა მთელი ქვეყნის რისხვა და სიძულვილი დაატყდეს თავს ასეთ ნაძირალებს, რათა მთელი ქვეყანა დაირაზმოს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

კოლეგიის სხდომაზე გამოსული ყველა ორატორი — სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლები — ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ დამნაშავეთა სამყაროს დამარცხება შესაძლებელია, თუ სამართალდამცველ ორგანოებს მხარში ამოუდგება მთელი რესპუბლიკა.

რამაზ კლენტმა, რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა თქვა, რომ — ქვემო ქართლში, კრიმინოგენურ ვითარებას შეიძლება მოჰყვეს ეთნიკური კონფლიქტი ქართველებსა და არაქართველი ეროვნების მოსახლეობას შორის ეს ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქ მარნეულში გამართულმა საპროტესტო აქციებმაც დაადასტურა. ბანდიტთა ვინაობა ცნობილია, გაცემულია კიდეც მათი დაპატიმრების სანქციები, მაგრამ მილიციის ძალები აშკარად არ არის საკმარისი მათ დასაპატიმრებლად.

დამნაშავეთა სამყაროსთან გამკლავებისთვის პოლიციის ძალების აშკარა ნაკლებობაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა რეგიონალური სამმართველოს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ომარ იმნაძემ.

სამართალდამცველი ორგანოების მიმართ ადამიანთა რწმენის აღდგენაზე ისაუბრა ქალაქ ქუთაისის პროკურორმა შალვა კვარაცხელიამ.

ნარკომანიის პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ქალაქ თბილისის პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ.

მძიმე ეკონომიკური ვითარებისა და დამნაშავეობის კავშირზე ილაპარაკა ქალაქ რუსთავის პროკურორმა სიმონ მაჭავარიანმა.

სამართალდამცველი ორგანოების მუშაკთა შორის პროფესიულ თვისებათა უკმარისობაზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსმა მურთაზ ჩიქობავამ.

კოლეგიის სხდომაზე თავის გამოსვლაში სამართალდამცველი ორგანოების მუშაკთა დიდ პროფესიონალიზმზე, ოპერატიულობაზე, მოვალეობის დიდ გრძნობაზე ილაპარაკა უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა.

კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ბოლო დრომდე ისეთი პრობლემა, როგორიც არის ადამიანთა გატაცება, არ არსებობდა, და მაშასადამე არც საგამოძიებო-საპროკურორო პრაქტიკა იყო. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს მხოლოდ 1991 წელს დაემატა სპეციალური 133-ე მუხლი ადამიანთა გატაცების შესახებ. არ იყო პრობლემა და, მაშასადამე, არც სტატისტიკურ და არც სხვა ანგარიშებში არ იყო გათვალისწინებული ამ სამართალდარღვევის საშიშროება და არც სათანადო ყურადღება ეთმობოდა მას.

კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება მოამზადოს სპეციალური საინფორმაციო წერილი სახელმწიფოს მეთაურის სახელზე, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება კონკრეტული წინადადებები კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების, მთლიანად დამნაშავეობისა და კერძოდ, ადამიანთა გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისათვის.

კოლეგიაზე გამოითქვა აზრი, რომ ბრძოლა ბანდიტიზმისა და ორგანიზებული დამნაშავეობის, განსაკუთრებით კი — ადამიანთა გატაცების წინააღმდეგ, ნაკლებად ეფექტიანია იმ მეთოდებისა და ხერხების მეშვეობით, რომლებითაც ადრე სარგებლობდნენ სამართალდამცველი ორგანოები. საჭიროა საკანონმდებლო წესით შევიმუშაოთ განსაკუთრებული რეჟიმი. ეს ღონისძიებები იქნებ არც თუ ისე პოპულარული, არც თუ ისე დემოკრატიული აღმოჩნდეს, მაგრამ ისინი აუცილებელია ერის გადარჩენის, სახელმწიფოში ელემენტარული წესრიგისა და კანონიერების დამკვიდრებისთვის. სხვაგვარად, ჩვენ ვერ შევძლებთ ავაშენოთ დამოუკიდებელი სამართლებრივი სახელმწიფო, ვერ განვახორციელებთ დასახულ რეფორმებს.

და, როგორც ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა განაცხადა, გამოიცემა გენერალური პროკურორის სპეციალური ბრძანება ადამიანთა გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ და ამიერიდან, ნებისმიერი რეგიონის პროკურატურის მუშაობა, სხვა მაჩვენებლებთან ერთად, შეფასდება ამ დანაშაულის გახსნის მაჩვენებლების მიხედვით.

გალინა ჩიქოვანი.

საფინანსო სატრასტო კომპანია
ქოლორი
სელენგი რეალობაა!
ანდეთ თქვენი სავალუტო დანაზოგები ფირმა „ქოლორს" და თქვენი შენატანები გაიზრდება...
3 თვით — 19-21%
6 თვით — 25-27%
1 წლით — 27-29-33%
შენატანების სიდიდის მიხედვით განისაზღვრება თქვენი მოგება!
გახსოვდეთ! დროზე. ადრე თანხის გატანისას ყოველ თქვენს 100 სავალუტო ერთეულს ემატება ყოველდღიური თანხა 0,3 სავალუტო ერთეული.
„ქოლორი" იძლევა გარანტიას თქვენი შენატანების სრულ ანონიმურობაზე, მის შენახვაზე და აგრეთვე, პირველსავე მოთხოვნაზე თქვენი შენატანების 24 საათში მოგებით დაბრუნებაზე.
გვენდეთ და ჩვენთან ყოფნისას დარწმუნებული იქნებით ხვალინდელი დღის სიკეთეში.
ხელშეკრულების გაფორმების და სხვა დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 22, ტელეფონი: 99-84-06.

ჯიშიანი ძაღლების მოყვარულთა გაერთიანებული კენილ-კლუბის წევრებისა და ყველა თბილისელის საყურადღებოდ!
ამა წლის 4 და 5 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში ჩატარდება ჯიშიანი ძაღლების გამოფენა. დასაწყისი 11 საათზე. ბილეთები გაიყიდება ცირკის სალაროებში.
კენილ-კლუბის გამგეობა

ტურისტულ-კომერციული ფირმა «პებე»
გთავაზობთ მოგზაურობას
პოლონეთში — ქ. ვარშავა, 4 მთლიანი დღე.
ფასი 270 ამერიკული დოლარი.
გასვლა 7 და 14 დეკემბერს.
აგრეთვე გთავაზობთ:
უკრაინის წარმოების ფურცლოვან ლითონს (ცხლად ნაგლინი).
სისქე — 3 მმ.
ზომა — 1, 25X2, 5 მ.
ერთი ტონის ფასი 190 ამერიკული დოლარი.
ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას 45, მეტრო „დელისი", კონცერნ „საქსოფმშენის" შენობა. მე—14 სართული. ტელ: 39-85-23. მოგვმართეთ ყოველ დღე 10. 00-დან 17. 00 საათამდე.

ლტოლვილი

დანარჩენზე ოჩამჩირეში ვილაპარაკოთ!..

ალეკო ასლანიშვილი

შეგინიშნავთ, ალბათ, შინ, თავის სათვალსაწიეროში, კაცს თითქოს სულ სხვა იერი აქვს (ხანდახან იმიტომ თუ გვიჭირს მისი უმალ შეცნობა „ცხრა მთას იქით" შეფეთებისას)... თავდაჯერებული, ყოველთვის მოუცლელი, ყოველთვის ერთდროულად ათ კაცთან მოსაუბრე — ასეთი დამამახსოვრდა ოჩამჩირეში შეხვედრებიდან ხუტა გუგუჩია. ომის ცეცხლში გახვეულ რაიონის გამგებელს საკუთარი პერსონის მნიშვნელობა კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული და სათანადოდაც ეჭირა თავი. ახლა კი, რედაქციაში, ჩემს მაგიდასთან, თითქოს ცოტათი სხვა კაცის ზის. განცდითა და ბოლმით გამხდარ-ჩაშავებულ სახეს არ ვგულისხმობ, არც ნაუცბათევ (მგონი ნასხვისარ), სეზონთან შეუსატყვისად მსუბუქ სამოსს...

ძალზე მძიმე დროს მოუწია რაიონის ხელმძღვანელობა. 1989 წელს ანდეს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეობა, როცა აფხაზ-ქართველთა ურთიერთობა ისე გამწვავდა, რომ პირველი სისხლიც დაიღვარა; 1992 წლის 14 აგვისტოს, როგორც კი აფხაზეთში სამთავრობო ჯარი შევიდა, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს, წლეულს თებერვალში — გამგებლად. ეს ოთხი წელიწადი ისეთი ნერვული, დაძაბული და გამომფიტავი იყო, კაცს კი არა, ხარს წააქცევდა, მაგრამ ადამიანს მეტის ატანა შესძლებია თურმე.

— თქვენი, როგორც მკვიდრი ოჩამჩირელისა და მოვლენათა შუაგულში მდგომი ხელისუფლის აზრით, როგორ მივიდა საქმე ომამდე, ან უფრო დავაკონკრეტებ — საიდან აფხაზთა ასეთი პათოლოგიური, ბიოლოგიური სიძულვილი ჩვენს მიმართ?

— დაპირისპირება, სიძულვილი ყოველთვის იყო. უბრალოდ, ამას ვერ ვამჩნევდით, უფრო სწორად, არ ვიმჩნევდით, ჩვენთვის დამახასიათებელი შემწყნარებლობის (იქნებ უდარდელობის) გამო ყურადღებას არ ვაქცევდით. არ ვაწყენინოთო, თავზე ხელის სმამაც თავისი ქნა. იმდენი ვიძახეთ, „ძმები ვართ", „ძმები ვართო", რომ თავი დავაჯერეთ ამაში. ამასობაში კი ისინი შხამით ზრდიდნენ თავიანთ ახალგაზრდებს, ქართველი „ძმების" მიმართ მართლაც გიჟური სიძულვილი ჩაუნერგეს, ქართველი მტრის ხატად დაუსახეს. თუნდაც მანიაკური დაჟინება აიღეთ, როგორითაც ქართველების გადაბირება და ეროვნების შეცვლა ხდებოდა. ამიტომ არის ამდენი აფხაზი ლორთქიფანიძე, წერეთელი, თაყაიშვილი, ძონენიძე, ნოზაძე, ბერულავა თუ შონია... 1991 წლიდან ოჩამჩირეში მოქმედებდა კომიტეტი, რომელიც სწავლობდა გვარების საკითხს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან კონსულტაციის შემდეგ 700 კაცს დავუბრუნეთ ეროვნება. ზოგი ჩვენი პოლიტიკური მოღვაწე წუწუნებს, ომის თავიდან აცილება შეგვეძლოო. როგორც უშუალო მოწმე ვაცხადებ: ომი გარდაუვალი იყო. მას აუცილებლად მოგვახვევდნენ თავს აფხაზები...

ჩართვა. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ვიცე-პრემიერმა თამაზ ნადარეიშვილმა მითხრა, ომის წამოწყებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის არძინბასო. მას პათოლოგიურად სძულს ქართველები. კურსი, რომელიც აფხაზეთის ხელმძღვანელებს ჰქონდათ აღებული 1956 წლიდან, უცვლელია — საქართველოდან გამოყოფა რუსეთთან შეერთებით ან ცალკე სახელმწიფოს შექმნით, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ რისკავდა პოლიტიკურ განცხადებებზე შორს ნასვლას. მათს უმეტესობას ბევრი ქართველი ნათესავი ჰყავდა; პირად საუბრებში იმასაც კი ამბობდნენ, რა მოხდა, მხოლოდ ვამბობთ, ხომ არ ვაკეთებთო. არძინბას კი არავინ ჰყავს ახლობლებში ქართველი. იზრდებოდა და ცხოვრობდა რუსულ გარემოცვაში. მჭიდროდ დაკავშირებულია ჟირინოვსკის წრესთან. და, რაც მთავარია, სუკის ძველი აგენტია, ისევე, როგორც მისი მთავარი იდეოლოგი ვორონოვი და პრეზიდიუმის რამდენიმე წევრი. ამიტომ გააკეთებინეს ის, რასაც მანამდე ვერ ბედავდა ვერც ერთი მისი წინამორბედი.

— მაგრამ განა აფხაზურ საზოგადოებრიობაში არ იყვნენ საღად მოაზროვნენი?

— იყვნენ, მაგრამ — ცალცალკე, ერთად თავშეყრილნი — არა. სულ ის აქვთ ჩაჭედილი თავში — ქართველები გვჩაგრავენო. ოჩამჩირის რაიონში 34 ათასი ქართველი და 27 ათასი აფხაზი ცხოვრობდა. სულ 10-მდე ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავათ ქართველებს, აღმასკომის 7-ვე სამმართველოს უფროსი აფხაზი იყო. სიძულვილის იდეოლოგია ძალზე ძლიერია მათში.

ჩართვა. კარგად ინფორმირებული წყაროებიდან ცნობილია, რომ დღეს აფხაზეთში რთული და დაძაბული ვითარებაა. აფხაზი ინტელიგენცია თითქმის მთლიანად არის წასული რუსეთში, ვინც დარჩა, ის ერიდება ამ ბარბაროსობაში მონაწილეობას. აფხაზთა 80 პროცენტი უკმაყოფილოა იმით, რაც მოხდა. დაპირისპირება აქვთ გაგრელებს ტყვარჩელელებთან, გუდაუთელებს-ოჩამჩირელებთან. მაგრამ არძინბას ფაშისტურ-დიქტატურული რეჟიმის პირობებში ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს. უკვე დახვრიტეს 150-ზე მეტი აფხაზი, ვინც რაიმე თანაგრძნობა გამოთქვა ქართველთა მიმართ ან შეეწინააღმდეგა გუდაუთის კურსს.

— როგორი იყო შიდა პოლიტიკურ ძალთა განლაგება ოჩამჩირეში ომამდე?

— ოჩამჩირეში ბევრი ზვიადისტი იყო, მაგრამ ისინი გავლენას ვერ ახდენდნენ საერთო მდგომარეობაზე, მათ არასდროს არ ჰქონიათ გადამწყვეტი სიტყვა. მოსახლეობა ძირითადად ხელისუფლებას უჭერდა მხარს: 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში ოჩამჩირელთა 80 პროცენტმა ხმა მისცა ედუარდ შევარდნაძეს. თუმცა ამ დროისთვის აფხაზები გააფთრებით ცდილობდნენ ოჩამჩირის აღებას, არჩევნების ჩატარება მაინც შევძელით. ოჩამჩირის დაცემაში თვით ოჩამჩირელები არაფერ შუაში არიან.

— როდის გამოხვედით ქალაქიდან?

— ქალაქი 29 სექტემბერს შუაღამისას, ორის ნახევარი იქნებოდა, დავტოვე. ოცდარვაში დღის 3 საათზე სამხედრო თათბირი ჩატარდა გენერალ დათუაშვილის ხელმძღვანელობით. მეც მიმიწვიეს. გადაწყდა 200 ჯარისკაცის მიშველება კინდღის ზონაში მდგარი გენერლების ყურაშვილისა და ჭუმბურიძისთვის, რომლებსაც სულ 100-120 კაცი ჰყავდათ. კინდღიდან მოსახლეობა მთლიანად გამოყვანილი არ იყო, იქვე თავი მოეყარა უკვე აღებული ახალდაბის მოსახლეობასაც. გამოყვანა ხდებოდა მანქანებით და გემებით. იმ დღეს კინდღში 4 „იკარუსი" გავგზავნეთ. მაგრამ იმავე საღამოს 8 საათისთვის გავარდა ხმა, ჯარი უკან იხევსო. ხმა მართალი აღმოჩნდა. გაირკვა, რომ შეპირებული 200 კაცი კინდღს ვერ მიაშველეს (ისინი ბესლახუბისა და ოხურეის მიმართულებიდან უნდა მოეხსნათ). რატომ არ გაკეთდა ეს, არ ვიცი!..

ჯარის უკან დახევა მოხდა პანიკურად, უსისტემოდ. ეს უკან დახევა კი არა, გამოქცევა იყო. პირდაპირ ოჩამჩირეში ჩამოცვივდნენ. სოხუმის დაცემის შემდეგ, ოჩამჩირის შენარჩუნება, არსებული ძალებით, შეუძლებელი იყო, მაგრამ ასე ელვის სისწრაფით დაცემას არავინ იფიქრებდა. ვვარაუდობდით, რომ უკანდახეული ჯარი ერთხანს ცაგერა-არადუს ხაზთან გამაგრდებოდა და შევძლებდით ხალხის უკლებლივ გამოყვანას (ფოთიდან უკვე შეგვპირდნენ გემებს, თბილისიდან - ვაგონებს), თანაც ოჩამჩირის რკალზე 70-კილომეტრიან ფრონტს ადგილობრივი, 24-ე ბრიგადა იცავდა (სხვათა შორის, ამ ბრიგადის ზოგიერთი ბატალიონი ჩვენი გამოსვლიდან ორი-სამი დღე კიდევ იბრძოდა, მაგრამ ერთმანეთთან კავშირის გარეშე), ამასთან მტერს 29 სექტემბერს ტყვარჩელის მხრიდან არ შემოუტევია. ეჰ, ცაგერა-არადუს ხაზზე ნამდვილად შეიძლებოდა ორგანიზებული თავდაცვის მოწყობა...

ჩართვა. ომი მხოლოდ სროლა, კვლა, ნგრევა როდია. ეს არის სამახსოვრო შეხვედრებიც, ცხოველი მოგონებებიც, მეგობრებიც, რომლებიც, აღარც კი ვიცით, დღეს ცოცხლები არიან თუ არა...

მეორე საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების ოფიცერმა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა როლანდ კოპალიანმა ამ ზაფხულს ორი ღამე მიმასპინძლა სოხუმში. როლანდი ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუდან არის, სახლი ის-ის იყო შეეძინა და გაეწყო, მაგრამ ახლა ცარიელს ჰგავდა იქაურობა — ცოლ-შვილი ქუთაისში ჰყავდა გახიზნული და ზოგჯერ თუ შეივლიდა სახლში, რათა ეზო-კარის დარაჯად დატოვებული ძაღლი შიმშილით არ მოჰკვდომოდა. ისე მოხდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ, ოჩამჩირეში ყოფნისას, არადუშიც მოვხვდი და იქაც კოპალიანების სახლში გავათენე ღამე...

დღეს არადუ და მისი მეზობელი ცაგერა კარგად არის ცნობილი ამ ომში შემართების გამო: მთელი წლის მანძილზე, მრავალი ცდის მიუხედავად, სამი მხრიდან შემოჯარული მტერი ვერა და ვერ შევიდა შიგნით. ამ სოფლების დაცემა სოხუმთან დამაკავშირებელი მაგისტრალის განყვეტას და ოჩამჩირის დაცემას ნიშნავდა!

საომარ პირობებში ცხოვრობდა არადუ. მამაკაცები (ყველას, ვისაც კი თოფის დაჭერა შეეძლო — 16 წლის ასაკიდან ზევით) მკაცრი გრაფიკით გადიოდნენ სამორიგეოდ სოფლის განაპირას მოწყობილ საბრძოლო პოსტებზე. და ყოველი ასეთი გასვლა როდი ნიშნავდა აუცილებლად უკან დაბრუნებას: არაერთი ვაჟკაცი მიაბარეს მიწას. ერთი ნიუანსიც: არადუში, თუ არ ვცდები, 14 აფხაზი ოჯახი ცხოვრობდა. მე ვნახე შემოპარული დივერსანტების მიერ ქართველების დამწვარი სახლები. მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია ასეთივე ხერხით ეძია შური მეზობელ აფხაზზე. და ისინი ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ: თუ სოფელში რამე მოვიდოდა, პური ან ნავთი, თავიანთ წილს სხვათა დარად ეზიდებოდნენ შინ.

სოფელი ციხე-სიმაგრეს ჰგავდა, მაგრამ სტუმარს მაინც ტრადიციულად — პურ-ღვინით ხვდებოდნენ. იმ საღამოს როლანდის მამა ბატონი შარდენი და უმცროსი ძმა ლადო მორიგეები იყვნენ საფარში. შინ მხოლოდ დედა ქალბატონი ვარუშა და უმცროსი დაია ტრიალებდნენ. ზმუოდა მოსაწველი ძროხა, ღრუტუნებდა ღორი, კრიახობდნენ ქათმები...

როლანდმა იქვე, ორიოდ მოსახლის იქით გადამიყვანა, ამ გაზაფხულზე ნაყიდი ეზო-კარი მიჩვენა. შევიძინე და ახლა ჩემს გემოზე, ჩემი მეცნიერული შეხედულებისამებრ მინდა გავაშენოო.

მერე ბატონი შარდენი და ლადოც დაბრუნდნენ ყარაულიდან და გვიანობამდე ვუსხედით სუფრას. ოღონდ ღვინო ბევრი არ დაგვილევია, ეშმაკს არა სძინავს, იქნებ უცებ ქუდზე კაცი დარჩეს საჭიროო. რაზე არ ვილაპარაკეთ, მაგრამ უიმედობის, შიშის ერთი ბგერაც არ შემიმჩნევია, პირიქით!

მახსენდება კოპალიანების ეს ხვავიანი, გულითადი და პურადი სახლი. ნეტა სად და როგორ არიან, ვისთან აფარებენ თავს მისი მკვიდრნი? ჯვარი სწერიათ, ცუდი არაფერი მინდა ვიფიქრო, მაგრამ გამოასწრეს კი საერთოდ მათ და მათმა ვაჟკაცმა მეზობლებმა?

რამდენი ასეთი ოჯახი გაუბედურდა და გაპარტახდა აფხაზეთში. რამდენი ჩემი ძველი თუ ახალი მეგობარი გაიბნა ომის გზებზე...

— თქვენი აზრით, ვინ არის დამნაშავე ამ თავქუდმოგლეჯილ გამოქცევაში, ოჩამჩირე-გალის თითქმის უომრად ჩაბარებაში?

— მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რაც ვნახე. კიდევ ვიმეორებ: ჩვენი ჯარი ისე გამოიქცა კინდღიდან მთელი თავისი ტექნიკით, რომ ცაგერა-არადუსთან არც შეჩერებულა. მათ სოხუმიდან გამოღწეული და ოჩამჩირის ბატალიონებიც დაემატნენ და ქალაქს მთელი ზღვა მოადგა. მე არ ვიცი ვინ როგორ აფასებს თენგიზ კიტოვანს, რა წვლილი მიუძღვის მას საერთოდ მთელს ამ ამბავში, მაგრამ ოჩამჩირეში მისი სახით ვნახე ჯავრით გადარეული, თავზე ხელაღებული ვაჟკაცი, რომელმაც ორ-სამჯერ მარტოდ-მარტომ (მხოლოდ დაცვა ახლდა) შეაჩერა გამოქცეული ჯარი, ტანკებიც კი შეაბრუნა. მაგრამ იქ უკვე ისეთი ვითარება შეიქმნა, მამალმერთიც ველარაფერს გახდებოდა...

რაც შეეხება ქობალიას ხალხს: პირველ დღეს, როდესაც უშუალოდ საბრძოლო მოქმედებაში ჩაერთნენ, 700-მდე იქნებოდნენ; მარცხენა ფრთას — რკინიგზიდან ზღვამდე ტერიტორიას აკონტროლებდნენ, როგორც ივლისში, ტამიშთან დესანტის განადგურების დროს (ოღონდ ახლა კინდღამდე იყვნენ მისული), სამთავრობო ნაწილებთან ერთად უნდა ემოქმედათ. როგორც ჩანს, ისინი ალიანსში იყვნენ აფხაზებთან და მოსაჩვენებლად იბრძოდნენ, მათი ბოლო პერიოდის მოქმედება მარწმუნებს ამაში. ხალხს აიმედებდნენ, გალი ჩვენ დაგვრჩებაო, ვითომ სადემარკაციო ხაზი ღალიძგასთან უნდა გასულიყო, მაგრამ გალში უარესი პანიკა და უთავბოლო გამოქცევა ვნახე.

ფაქტობრივად ოჩამჩირიდან სულ ბოლო გამოვედი. დიდძალი ფასეულობა დარჩა, ჩარჩა ბევრი ადამიანიც, როგორც ქალაქში, ისე სოფლებში.

მეგონა გალში აჩიგვარასთან მოაწყობდნენ თავდაცვის ხაზს. იქ ამის სათანადო პირობები იყო, თანაც დიდძალი სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა მოაწყდა. მაგრამ, ჩანს, ფიქრადაც არავის გაუვლია ეს. საშინელი სანახავი იყო ყოველგვარი სატრანსპორტო საშუალებით და ათიათასობით ადამიანით გაჭედილი გზა.

როგორც იქნა, ზუგდიდში ჩამოვაღწიე და... სასწაულით გადავურჩი დაპატიმრებას. თურმე საგულდაგულოდ მეძებდნენ. რვა დღე ვიმალებოდი ერთ-ერთ სოფელში. შემდეგ ნაცნობები დამეხმარნენ და თბილისში გამოვიპარე. მე იქ ვნახე საქართველოს ყველა კუთხიდან თავმოყრილი „ზვიადიზმით" დაავადებული ადამიანები. სხვათა შორის, ჩეჩნეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ექსპრეზიდენტი იყო კინდღში, შეხვდა მოსახლეობას. იყო მეორე საარმიო კორპუსის ოჩამჩირის 24-ე ბრიგადის შტაბშიც. ოღონდ რა თქვეს, რა ილაპარაკეს, არ ვიცი.

— ახლა სად ხართ, სად მოეწყვეთ?

— ოჩამჩირედან ისე გამოვედი, შინ შევლა და თითზე გადასახვევი ძაფის გამოტანა ვერ მოვასწარი (ჩემი სახლი მეორე დილასვე დაუწვავთ აფხაზებს). მეუღლე ზუგდიდშია, მე, ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილი — აქ (ისინი სოხუმიდან არიან გამოხიზნულები). „საქენერგოში" დავიწყე მუშაობა, მის ხელმძღვანელებთან რა ხანია საქმიანი ურთიერთობა და მეგობრობა მაკავშირებს — 19-ჯერ აღვადგინეთ სოხუმ-ოჩამჩირის დაზიანებული ელექტროხაზები. ბინაც გამომიძებნეს წყნეთში. მაგრამ ეს ფართო საზოგადოებრიობისთვის საინტერესო არ არის... დასასრულ, აი, რა მინდა გითხრათ: ჩვენ, ქართველები, ცოტა არ იყოს, უდარდელი ხალხი ვართ, ხანამ კაცს საკუთარ სახლში არ შეუვარდება მძარცველი, სხვის გასაჭირზე ნაკლებად გამოიდებს თავს. სავსე ჭიქით სამშობლოს დღეგრძელობის თქმა გვირჩევნია ავტომატის ხელში აღებას, სხვისი შემყურეობა დაგვჩემდა. ახლა სხვაგვარ პროცესს ვხედავ და მეიმედება: ამ დამარცხებამ მთლიანად ქართველობა შეძრა, გამოაფხიზლა და გააბოროტა. დანარჩენზე იქ, ოჩამჩირეში ვილაპარაკოთ...

სურათზე: ხუტა გუგუჩია.

თედო ნიკოლაიშვილის
ფოტო

სამშობლოს ძლიერებისთვის გაღებული წვლილი

დღეს ვაგრძელებთ იმ საწარმოების და დაწესებულებების, მოქალაქეების სიების გამოქვეყნებას, ვინც რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს შეეწია და სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მადლობა დაიმსახურა

თიანეთის რაიონი	
ნაქალაქრის თემის საკრებულო	2193
მეცხვარეობის სახ.მეურნეობა	720
კასპის რაიონი	
სოფლის მეურნეობის სამმართველო	748
ლაგოდეხის რაიონი	
ლაგოდეხის აგრობანკი	101000
ლაგოდეხის აგრობანკი	2035913
ლანჩხუთის რაიონი	
ლანჩხუთის ვეტერანთა საბჭო	18200
ლანჩხუთის თავდაცვის ფონდი	8224
ლანჩხუთის მანქანათმშენებლობის კოლეჯი	13575
ლანჩხუთის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	847
ლანჩხუთის კოოპერატივი „მედეა"	243
ლენტეხის რაიონი	
ლენტეხის თავდაცვის ფონდი	4600
მარნეულის რაიონი	
მარნეული	12915
მარნეულის შს განყოფილება	38552
მარტვილის რაიონი	
მარტვილის თავდაცვის ფონდი	8000
მარტვილის თავდაცვის ფონდი	1054
მარტვილის აგრობანკი	770
მცხეთის რაიონი	
მცხეთის თავდაცვის ფონდი	5375
№31 საგზაო-საექსპლოატაციო სამმართველო	25973
საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველო	48089
სგ „საქენერგორემონტი"	9701
მცხეთის მრეწვმშენბანკი	41589
ოზურგეთის რაიონი	
ოზურგეთის თავდაცვის ფონდი	109368
ლიხაურის ჩაის ფაბრიკა	250000
ოზურგეთის ბანკი	
საგზაო სამმართველო	50000
ოზურგეთის აგრობანკი	86094
ონის რაიონი	
გომის სოფლის საკრებულო	895
ონის რაიონული გამგეობა	3210
ონის სანეპიდსადგურის პროფ. დეზ. განყოფილება	164
ონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	1359
ონის სოცუზრუნვეყოფის განყოფილება	176
ონის სოცუზრუნველყოფის განყოფილება	376
სორის სოფლის საკრებულო	1445
ფარახეთის სოფლის საკრებულო	1091
ონის თავდაცვის ფონდი	3241
სოცუზრუნველყოფისა და სამედ. დაზღვ. ერთიანი ფონდი	329
შს ონის რაიგანყოფილება	3400
სახ. დაწესებულ. მუშაკთა პროფკავშირის ონის რაიკომი	470
ბეჭდვითი სიტყვის სახ. დეპარტამენტის ონის სტამბა	1075
რაიგაზეთ „განთიადის" რედაქცია	600
ონის ავტოსატრანსპორტო საწარმო	1076
სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	680
საგარეჯოს რაიონი	
საგარეჯოს თავდაცვის ფონდი	10537
საგარეჯოს თავდაცვის ფონდი	13590
სამტრედიის რაიონი	
სამტრედიის თავდაცვის ფონდი	586
სამტრედიის თავდაცვის ფონდი	26850
სამტრედიის თავდაცვის ფონდი	3845
სამტრედიის თავდაცვის ფონდი	7587
სამტრედიის №28 პროფტექნიკური სასწავლებელი	2595
სამტრედიის №3 საშუალო სკოლის პედკოლექტივი	4410
სამტრედიის განათლების განყოფილება	1432
ხიდმშენი მატარებელი №21	25796
ეჩ-2 სამტრედია	14243
ნგჩდნ სამტრედია	650
ნოდ. 1 სამტრედია	39063
ნოდ. I სამტრედია	1175
პჩ-3 სამტრედია	49120
სადგური სამტრედია	23700
სამტრედიის საკვანძო დეპო	40411
სამტრედიის სატვირთო აჰს	2043
შჩ-2 სამტრედია	19848
სამტრედიის ამბ	14025
საჩხერის რაიონი	
საჩხერის თავდაცვის ფონდი	5444
ყაზბეგის რაიონი	
ყაზბეგის რაიკონტროლის პალატა	226
სოფელ გორისციხის საშუალო სკოლა	9500
სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	430
ყაზბეგის ამბ	1112619.74
ყვარლის რაიონი	
ყვარლის თავდაცვის ფონდი	2230
ყვარლის აგრობანკი	43940
ჩოხატაურის რაიონი	
ჩოხატაურის №1 ჩაის ფაბრიკა	12799
ჩოხატაურის №93 სპტს	5497
ჩოხატაურის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	2988
ჩოხატაურის სატყეო მეურნეობა	14988
ცაგერის რაიონი	
ცაგერის რაიფინგანი	477
ცაგერის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	630

წალენჯიხის რაიონი	
წალენჯიხის თავდაცვის ფონდი	3700
ხარაგაულის რაიონი	
ხარაგაულის საკრებულო	3390
ხარაგაულის რაიონის კინოვიდეოფიკაცია	248
ხარაგაულის ასს	1911
ხარაგაულის სატყეო მეურნეობა	3067
ხაშურის რაიონი	
ხაშურის რაიონის კონტროლის პალატა	2098
ხაშურის რაიონის კონტროლის პალატა	32325
ხაშურის რაიონის კონტროლის პალატა	2756
ხაშურის საკრებულოს გამგეობა	808
ხაშურის თავდაცვის ფონდი	132
სახდაზღვევის ინსპექცია	132
ხაშურის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	1290
კოოპერატივი „ივერია-90"	181
მსს „ელეგანტი"	10000
ხობის რაიონი	
ხობის თავდაცვის ფონდი	5800
ხობის აგრობანკი	1572
ხონის რაიონი	
ხონის თავდაცვის ფონდი	16600
ქ. სოხუმი	
სოხუმის თავდაცვის ფონდი	3730
ქ. ბათუმი	
ბათუმის თავდაცვის ფონდი	32914
სჰკ ინსტიტუტი	69990
ნ. ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტი	4080
ხევის საშუალო სკოლა	2000
ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი	3579
ენერგოზედამხედველობისა და კომერციის აჭარის საწარმო	19920
№28 სმმპ ტრ. „საქპეცმშენი"	15093
აჭარის კაპმშენებლობის ტერ. სამმართველო	2629
ბათუმის ატს	23400
ბათუმის სალოკომოტივო დეპო	26121
ბათუმის სამგზავრო ავტოსადგური	5255
რკინიგზის სადგური „ბათუმი"	21238
ბათუმის აგრობანკი	79347
ერთი პირის საწარმო „რუბიკონი"	3000
ქობულეთის რაიონი	
ქობულეთის აგრობანკი	152894
ქობულეთის ბინსოცბანკი	2132
ხულოს რაიონი	
მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	5000
ვაშლ. საშ. სკოლის პედკოლ. (დასახელება სრულად არაა)	10000
განათების მუშები	4000
მრავალდარგოვანი კოოპერატივი „დიდი გონდორი"	4000
გაურკვეველი რეგიონი	1000000
თავდაცვის ფონდი (რაიონი არ იკითხება)	24680
ქ. წყალტუბო	
ღარიბაშვილი მერაბ არკადის ძე	15000
ქ. ჭიათურა	
კაპანაძე ლევან გრიგოლის ძე	500
ბორჯომის რაიონი	
მიქაბერიძე თამარ თენგიზის ასული	5300
თიანეთის რაიონი	
ბადურაშვილი შოთა იორამის ძე	100
მცხეთის რაიონი	
ათანეზოვი ემზარ ონისეს ძე	500
ზანგურაშვილი დარეჯან სერგოს ას	500
რუბანიკი იაკობ მიხეილის ძე	500
ტოპრაკაშვილი ალექსანდრე ვაჟას ძე	500
ხაბულიანი ხვიჩა ბადურის ძე	500
ხირდაევი ირაკლი ვილამის ძე	500
ხირდაევი მალხაზ ვალერიანის ძე	500
ოზურგეთის რაიონი	
ორაგველიძე ენვერ შალვას ძე	15000
სამტრედიის რაიონი	
რუხაძე პავლე პეტრეს ძე	1000
ქ. ბათუმი	
ფუტკარაძე ზურაბ შალვას ძე	10000
ქ. ქუთაისი	
სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	1094.72
სტატისტიკის ქუთაისის საქალაქო სამმართველო	335572
ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი	5000
№5 სტამბა	7235
17-ე საშუალო სკოლა	430
35-ე საშუალო სკოლა	7350
მუსიკალური სკოლა	14789
ავტომექანიკური კოლეჯი	5033
ავტომექანიკური კოლეჯი	480
გამომცემლობა „საქართველოს" ქუთაისის ფილიალი	2390
„საქჰიდროენერგომშენის" ქუთაისის რკინა-ბეტონის ქარხანა	35785
მუნიციპალური საწარმო „ნიკე"	1035
სამკერვალო ფაბრიკა „იმერეთის" პროფკომიტეტი	291
ქუთაისის ბამბის საქსოვი ფაბრიკა	1210
ქუთაისის მინის ტარის ქარხანა	50000
ქუთაისის საცდელ-მექანიკური ქარხანა	500000
ხაიანი ქსოვილების ფაბრიკა	10000

გაგრძელება იქნება

გვწერენ

უბრალო კაცი

ომმა ბევრ ქართველს აღუძრა ქველმოქმედების სურვილი. ზოგს თავისი კაცური კაცობის ნაყოფი ჰგვრის უდიდეს კმაყოფილებას, ზოგი „კეთილი კაცის" სახელის მოსაპოვებლად იღვწის.

პირველთა შორისაა შრომის ვეტერანი დავით ჭუმბურიძე.

განა შეიძლება სამი შვილისა და ცხრა შვილიშვილის პატრონს საკუთარი პრობლემები აკლდეს? მაგრამ ეს მოუსვენარი კაცი, ეროვნული გვარდიის შექმნის დღიდან რომ მისი აქტიური წევრია, სხვისი პრობლემების მოგვარებას არანაკლებ დროს ანდომებს. ხან მინისძერით, დაზარალებულთა ოჯახებს ეხმარება საჩხერეში, ხან სვანეთშია — ლტოლვილებთან, ხან თბილისში აფხაზეთში დაღუპულთა ოჯახებს დაეძებს, სურსათითა და ტანსაცმლით ამარაგებს. როგორც კი ფულს შეაგროვებს, თავდაცვისა და ეროვნული გვარდიის ფონდის ანგარიშზე შეაქვს. ერთი წლის მანძილზე სოლიდური თანხით შეეწია და ედუარდ შევარდნაძის მადლობის წერილიც მიიღო.

ბატონმა დავითმა კარგა ხანია ექვს ათეულ წელს გადააბიჯა, მაგრამ სამაჩაბლოში თანამებრძოლებს, მათ შორის, უფროს ვაჟს ზურაბს და სიძეს — ბადრი არეშიძეს არაერთგზის დაუმტკიცა, რომ მუხლიც უჭრის და მარჯვენაც. ამის დასტურია შინაგან საქმეთა მინისტრისა და პირველი საარმიო კორპუსის სარდლობის მადლობა.

მრავალი მამულიშვილური თაოსნობის ავტორს კარგად იცნობენ ჩვენი გაზეთის მკითხველებიც. ქართული ვალუტის შექმნის ბაზად ბატონმა დავითმა ეროვნულ ფასეულობათა ფონდის შექმნა მიიჩნია და აკი გამოხმაურებაც მოჰყვა პრესაში გამოქვეყნებულ მის წინადადებას. არც მშობლიური სოფლის — ეწრის კეთილმოწყობა და ეკლესიის აღდგენაზე ზრუნვა ავიწყდება, არც ჭუმბურიძეთა გვარის თავმოყრა თუ მამულის სამსახურში ჩაყენება.

დავით ჭუმბურიძე მრავალჭირგამოვლილი, სხვებზე ზრუნვით მოუღლელი უბრალო კაცია.

ლეილა ჭედია

მალე დავიბრუნებთ...

გავიგე, კასპის რაიონულ საავადმყოფოში აფხაზეთში დაჭრილი მეომრები მოიყვანესო. უკვე მერამდენედ...

პალატაში სამი მებრძოლი წევს. ჩანს, ჭრილობები აწუხებთ. ვაჟკაცურად იტანენ ტკივილს.

ეძნელებოდათ ომის თემაზე საუბარი, უჭირდათ საშინელებათა გახსენება.

— ორი წლის წინ მოხალისედ ჩავეწერე კასპის ბატალიონში, — ამბობს ზაზა კოშაძე. ვიბრძოდი სამაჩაბლოში, ოჩამჩირეში, კინდღში, აძიუბჟაში, ლაბრაში. ბოლოს სოხუმში რკინიგზის სადგურის მისადგომებთან დავიჭერი...

— მეც იქ დამჭრეს, — საუბარში ჩაება იმედა ერემოვი. — რკინიგზის სადგურთან საცხოვრებელი კორპუსი გვქონდა დაკავებული. მტერი სულ ახლოს, ერთ-ერთ დანგრეულ სახლში კარგად იყო გამაგრებული. ჩვენ მხოლოდ ავტომატების ამარა ვიყავით. ტარიელ შარიფაშვილი, ჩვენი ბატალიონის მეთაური გვამხნევებდა, — ცოტა ხანს გაუძელით და ტექნიკასა და გვარდიას მოგაშველებთო (ასე იყო ინფორმირებული). მაგრამ... ამ ორთაბრძოლაში ბევრი დაგვეჭრა და დაგვეღუპა. დიდხანს ველოდით, დამხმარე ძალა არ მოსულა.

— მერე კი იცით, ვინ გადაგვიკეტა გზა? — იკითხა რამინ გაბრიჭიძემ. — ქართველმა, ამ დროს კი ბატონი ტარიელი სისხლისაგან იცლებოდა, თითქოს გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, დაიძახა: — მე არაფერი მეშველება, გადაეცით კასპელებს, ჩვენს ბიჭებს მიხედონ!..

ირმისა ტყეშელაშვილი მძიმედაა დაჭრილი. თავის ტკივილები აწუხებს:

— დავინახე, როგორ დაეცა სასიკვდილოდ დაჭრილი ტარიელი, — ამბობს ირმისა, — სხვა არაფერი მახსოვს. — მეც მძიმედ დავიჭერი. — გაჩუმდა და დაამატა. — დედაჩემი ჩემს გაჩენას გადაჰყოლია. თურმე თხის რძით მზრდიდნენ და ამიტომაც შემარქვეს ირმისა, ისე კი გიორგი მქვია...

კიდევ ბევრ საინტერესოს მიამბობენ მეგობრებზე, თანამებრძოლებზე და პირშეკრულებივით ყველა ერთსა და იგივეს ამბობს — აფხაზეთს მალე დავიბრუნებთო.

მარინე ყაბანაშვილი

საგამომცემლო — ტურისტული ფირმა „ხატიონი"

ამა წლის 11 დეკემბერს, 5 დღით თბილისიდან თბილისამდე, შეღავათიან ფასებში მოემსახურება ტურისტების გადაყვანას ინდოეთში, ქალაქი დელი და თურქეთში, ყოველ ათ დღეში.

მსურველებმა დარეკეთ: 96-13-16
მისამართი:
ქ. წამებულის 94 (მეტრო ისანთან, თეატრის შენობა)

№34

ქართული თეატრი ცოცხლობს

უკვდავი, როგორც საქართველო

ბათუმის სცენაზე ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის" ახალი დადგმის გამო



როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, წლეულს, ოქტომბერში ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დაბადებით დიდი კულტურული მოვლენის მოწმე გახდა სრულიად საქართველო. ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერით" დაიწყო თავისი ისტორია მესამე საოპერო დასმა საქართველოში. მაშინ რესპუბლიკაში შექმნილი უმძიმესი ვითარების გამო, ჩვენი კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს დედაქალაქიდან არ მიეცათ შესაძლებლობა, გაეზიარებინათ ბათუმელთა დღესასწაული.

ამ დღეებში სახელმწიფოს მეთაურის ბატონი ედუარდ შევარდნაძის ბათუმში ყოფნისას „აბესალომ და ეთერის" მორიგ წარმოდგენას მასთან ერთად დაესწრო ჩვენი კულტურის მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ბატონმა **ედუარდ შევარდნაძემ** ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა:

„დღევანდელი სპექტაკლი არის ღირსსახსოვარი ქართული მოვლენა და დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ გაჭირვების დროსაც შეიძლება ქართველმა ასეთი რამ გააკეთოს. ეს შესანიშნავი სპექტაკლი აჭარაში უკვე არის სტაბილურობისა და სიმშვიდის დამამტკიცებელი ფაქტი. დღევანდელი დღე მაჩვენებელია იმისა, რომ ადამიანის სულს ისე სჭირდება კულტურა, მუსიკა, როგორც სხეულს სჭირდება პური...

მადლობა ბათუმს, ბათუმელებს, მთლიანად შემოქმედებით კოლექტივს, ყველას, ვინც ასეთი მშვენიერი დღე გვაჩუქა..."

ბათუმელთა „აბესალომ და ეთერზე" თავიანთ აზრს გვიზიარებენ **ბიბა ლორთქიფანიძე**: — დღევანდელმა დღემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა რომ ერის ერთადერთი გადამრჩენი მისი სულიერებაა. ძნელი წარმოსადგენიც კი იყო ასეთი დღესასწაული დღეს ბათუმში — ამ დონეზე სპექტაკლის დადგმა თუ იყო შესაძლებელი. როგორც პროფესიონალმა, ვიცი, რა პირობებში მუშაობს ახლა თეატრები. ამ სიტუაციაში, ამ უსახსრობაში, რაც ჩვენ ვიხილეთ, ეს გმირობის ტოლფასია. გაოცებული ვარ, შესანიშნავი მომღერლის ალიკო ხომერიკის ენთუზიაზმით, ორგანიზატორული ნიჭით, თავდადებით და სიყვარულით თავისი საქმისადმი. დადგმა ჩვეული ოსტატობით განახორციელა ბრწყინვალე რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ, გაგვახარა გუნდმა, ორკესტრმა და სოლისტებმა. ამ სპექტაკლზე დაიბადა რამდენიმე საინტერესო მომღერალი. არ გამოვყოფ ცალკე რომელიმეს, მჯერა, მათი შემოქმედება იმედისმომცემი იქნება ქართულ თეატრში. მართლაც დიდი შემოქმედებითი გამარჯვების მოწმენი ვართ. ვულოცავ ბათუმის საზოგადოებრიობას და მასთან ერთად მთელ საქართველოს ახალი საოპერო თეატრის დაბადებას.

დავით მაღრაძე: — რესპუბლიკაში უდიდესი მღელვარების, დიდი ტკივილების ჟამს—ოქტომბრის დასაწყისში გაიხსნა საოპერო თეატრი, ძალიან ვწუხვარ, და ბოდიშიც მინდა კი მოვიხადო საქართველოს უმშვენიერესი კუთხის აჭარის წინაშე, რომ ამ ისტორიულ დღეებში, რაც ბათუმში ხდებოდა ვერ ვახლდი აჭარელთა ზეიმს. მაგრამ დღეს ორმაგად მოხარული ვარ, ამ ძნელბედობის ასეთი საჩუქარი ორმაგად უფრო საჭიროა ქართული სულიერებისათვის, თანამედროვე ქართული ხელოვნებისათვის, მინდა მადლობა გადავუხადო აჭარის ხელმძღვანელობას, პირადად ბატონ ასლან აბაშიძეს, რომელმაც კარგად უწყის, რომ ერის სახე არის კულტურა, ხელოვნება, ცივილიზაცია, და თავის მხრივ, ზრუნვას არ აკლებს იმ ინიციატივებს, რომლებიც მიზანმიმართული არის ჩვენი ქვეყნის სახის წარმოჩენისათვის. ვისურვებდი, რომ ბატონი ასლანის დამოკიდებულება და ყურადღება ქართული კულტურისადმი იმპულსივით ყოფილიყოს იმათთვის, ვისაც ძალუძს რეალურად შეუწყოს კულტურის აღორძინებას.

თენგიზ მუშკუდიანი: ის ფაქტი, რომ ბათუმში საოპერო თეატრი გაიხსნა, უკვე საეტაპო მოვლენაა. შთაბეჭდილება უდიდესია, როგორც მუსიკალური შესრულების, ასევე რეჟისურის მხრივ. დიდი გამბედაობით არის მთელი სპექტაკლი შესრულებული.. მინდა გამოვყო მხატვრების უშანგი იმერლიშვილისა და მირიან შველიძის შესანიშნავი ნამუშევარი. რაც შეეხება მომღერლებს: ალიკო ხომერიკი გამოცდილი ოსტატია და ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია „აბესალომში", უპირველესად ქართული ხასიათის წარმოჩენის თავისებური ინტერპრეტაციით, ძალიან მომეწონა მარინე ჯახუტაშვილის ეთერი, შესანიშნავი სცენური და მუსიკალური მონაცემები იმედს გვაძლევს, რომ მისი სახით გვეყოლება კარგი სოპრანო, მურმანის როლის შემსრულებელი ალიკო ქავთარაძე ჯერ დამწყები, ახალგაზრდა მომღერალია, და წინ გრძელი გზა აქვს გასავლელი. აღსანიშნავია ოთარ ხოფერიას აბიო-მეფე და სხვანი.

ანზორ ერქომაიშვილი: ბედნიერი ვარ, რომ ამ ზეიმის მონაწილე გავხდი. ამ უმძიმეს პერიოდში, როცა ასეთი სპექტაკლი იდგმება და თანაც ასეთი ხარისხით, იმედი მომეცა, რომ ჩვენ გადაშენება არ გვიწერია, და ყველაფერს დავძლევთ. ქების ღირსია უკლებლივ ყველა, ვინც ამ სპექტაკლზე იმუშავა, მაგრამ განსაკუთრებით გამოვყოფ დამდგმელ დირიჟორს დავით მუქერიას და ქორმაისტერ ავთანდილ ჩხენკელს. იშვიათად მომისმენია ასე წმინდად ნამღერი გუნდები, როგორც დღეს შესრულდა „აბესალომში". ალიკო ხომერიკი ამ სპექტაკლით წარმოჩნდა, როგორც შესანიშნავი შემსრულებელი და ორგანიზატორი. არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრათ, აჭარის ხელისუფლებას, პირადად ბატონ ასლან აბაშიძეს, რომელსაც მართლაც „ლომის წილი" უდევს ამ თეატრის დაარსებაში.

ზურაბ შარაძე: დღეს უნებლიედ მაგონდება ისტორიული წარსულიდან ზუსტად ამ 115 წლის წინანდელი — 1878 წლის 20 ნოემბერი. დედა-სამშობლოსთან ერთების ორი თვის თავზე აჭარის დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში, რომელშიც შედიოდნენ აჭარის წარჩინებული შვილები, დიდი მამულიშვილები ხიმშიაშვილი, აბაშიძე, ბეჟანიძე და სხვები, რომლებსაც უმასპინძლეს ჩვენი ერის სულიერმა მამებმა — ილიამ, აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა, ივანე მაჩაბელმა, ამ ისტორიულმა შეხვედრამ განსაზღვრა ბედი და მომავალი ამ უმშვენიერესი კუთხისა.

სამი დღის განმავლობაში ბათუმში თბილისიდან ჩამოსულმა ერთმა ყველაზე წარმომადგენლობითმა დელეგაციამ, რომელშიც შედიოდნენ ჩვენი კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, უდაოდ კიდევ უფრო განამტკიცა ის დუღაბი, რომლის ასეთი სიმტკიცე ზოგიერთს ახლა არ მოსწონს. სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ, როგორც „აბესალომ და ეთერში" ჟღერს საქართველოს ყველა კუთხის ხმები და სიმები, ასევე ეს დღეებიც, ეს შეხვედრებიც მჯერა, საქართველოს გამთლიანების კიდევ ერთი საწინდარი გახდება.

გიორგი ლალიაშვილი,
გია ჭელიძე.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება საერთაშორისო ოსტატი ველიმირ კალანდაძე

ბრძენი ეტლი

ეტლი ლაზიერს ჩამორჩება სიძლიერით და შესაძლებლობით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ „სიბრძნით", საჭადრაკო იერარქიაში იგი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. თუ ლაზიერი ხშირად თავის „ხელქვეითებთან" ერთად ანგარიშმიუცემლად ებმება სადებიუტო ბრძოლის ქარცეცხლში, ეტლი მისგან განსხვავებით, მოთმინებით ელოდება იმ დროს, როდესაც მან გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ენდშპილში.

ცნობილია, რომ ესა თუ ის მოჭადრაკე განსაკუთრებულ სიმპათიას ამჟღავნებს ამა თუ იმ ფიგურის მიმართ და განსაკუთრებული ოსტატობით წარმართავს რომელიმე კონკრეტული სახის ენდშპილს. ასე მაგალითად: ლაზიერების ენდშპილს ბრწყინვალედ თამაშობდა უნგრელი დიდოსტატი გ. მაროცი, მხედრების ენდშპილს რუსი მოჭადრაკე მ. ჩიგორინი, ხოლო ეტლების ენდშპილის უბადლო ვირტუოზი გახლდათ მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი დიდოსტატი ა. რუბინშტეინი. ფრანგმა დიდოსტატმა საველი ტარტაკოვერმა, იცნობდა რა რუბინშტეინის შემოქმედებას, მახვილგონივრულად წარმოგვიდგინა მისი პორტრეტი: „რუბინშტეინი — ეს არის საჭადრაკო პარტიის ეტლების დაბოლოება, რომლის გამოკვეთა ათასი წლის წინ დაიწყეს ღმერთებმა".



ახლა წარმოგიდგენთ პარტიას, სადაც რუბინშტეინი დიდი ოსტატობით წარმართავს როგორც მთელ პარტიას, ასევე ეტლების ენდშპილს. (იხ. დიაგრამა № 1.)

რუბინშტეინი—ლასკერი

პეტერბურგი, 1909 წ.

1. d4 d5 2. მf6 3. c4 e6 4. კg5 c5 5. cd ed 6. მc3 cd 7. მ:d4 მc6 8. e3 კe7 9. კb5! კd7 10. კ:f6 კ:f6 11. მ:d5 კ:d4 12. ed ლg5! 13. კ:c6 კ:c6 14. მe3 0—0—0 15. 0—0 ეe8 15. ეc1!! ე:e3 17. ე:c6 bc 18. ლc1! ე:d4 19. fe ეd7 20. ლ:c6+ მფd8 21. ეf4! f5 22. ლc5 ლe7 23. ლ:e7 მფ:e7 24. ე:f5 ეd1+ 25. მფf2 ეd2+ 26. მფf3 ე:b2 27. ეa5 ეb7 28. ეa6! მფe8 29. e4 ეc7 30. h4 მფf7 31. g4 მფf8 32. მფf4 მფe7 33. h5 h6 34. მფf5 მფf7 35. e5 ეb7 36. ეd6 მფe7 37. ეa6 მფf5 38. ეd6 მფf8 39. ეc6 მფf7 40. a3! შავები დანებდნენ.

საჭადრაკო ტიტანების ეს ორთაბრძოლა მართლაც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ლასკერი წაგებას კეთილგანწყობით შეხვდა. პარტნიორის მიმართ არაერთი საქებარი სიტყვა წარმოთქვა სპეციალურ კრებულში, სადაც ტურნირის პარტიები დაიბეჭდა.

და, ბოლოს, მკითხველს ამოსახსნელად ვთავაზობთ ჩეხი დიდოსტატის ლ. პროკეშის ეტიუდს, სადაც ეტლის „მცირე" პორტრეტია წარმოდგენილი. თეთრები იგებენ ეტლის მოხდენილი მანევრით (იხ. დიაგრამა № 2).



ვულოცავთ!

ქართველ მსოფლიო ჩემპიონთა რიგებს კიდევ ერთი მოჭადრაკე შეემატა — საერთაშორისო ოსტატმა **ნინო ხურციძემ** 13 შესაძლებლობიდან 10,5 ქულით (8 მოგება, 5 ყაიმი) ყველას აჯობა 20 წლამდე ასაკის სპორტსმენთა უმაღლეს ფორუმზე.

სიმბოლურია, რომ ეს დიდი წარმატება მოპოვებულია ინდოეთში — ბრძნული თამაშის სამშობლოში.

ვულოცავთ!

საინვესტიციო ფონდი
ცენტრალური საინვესტიციო კომპანია
CENTRAL INVEST COMPANY
თქვენი წარმატების გარანტიაა
მაღალდივიდენდიანი მომგებიანი აქციები მყარი გარანტიით, მაღალპროცენტიანი სესხის თამასუქები, შეღავათიანი კრედიტები, სრულყოფილი საფინანსო-საკრედიტო სერვისი, ვიძლევით კლიენტთა ანონიმურობის სრულ გარანტიას
ერთი აქციის ღირებულება სულ რაღაც 100 000 კუპონია.
აქციების საბაზრო ფასები განუწყვეტლად მატულობს.
აქციონერთა საყურადღებოდ!
აქციები გათამაშდება კვარტალში ერთხელ.
გეძლევათ შანსი აქციაში ჩადებული თანხის გაასმაგების.
გათამაშდება:
ერთი 10000000 მოგება; სამი 3000000 მოგება; ათი 1000000 მოგება.
აქციათა პაკეტის (ათი აქცია) მფლობელთათვის ყოველი მოგება გაორმაგდება.
წინა გათამაშების შედეგებს და დამატებით ინფორმაციას
შეიტყობთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 154, ტელ: 96-02-11, ფაქსი: 98-92-16.

ჟურნალ-გაზეთების რედაქციების საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო, 1994 წლის პირველ ნახევარში, საცალო ქსელის მეშვეობით რესპუბლიკაში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების გასავრცელებელი ტირაჟის განსაზღვრის მიზნით, სთხოვს დაინტერესებულ რედაქციებს ა. წ. 7 დეკემბერს, 16 საათზე მობრძანდნენ პრესის გავრცელების რესპუბლიკურ ცენტრში, (თბილისი, 9 აპრილის ქ. № 2, V სართული).

ხსოვნა

მერი ჯაჯანაშვილი

გარდაიცვალა ქართული თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მერი ჯაჯანაშვილი.

დაიბადა 1911 წელს, თბილისში. 1929 წელს დაამთავრა მესამე საცდელი სასწავლებელი (ამჟამად 23-ე საშუალო სკოლა) და იმავე წელს სწავლა განაგრძო რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში. ამ სტუდიიდან იწყება მისი სასცენო ბიოგრაფია. პირველი როლი ითამაშა ახმეტელისეულ ლეგენდარულ სპექტაკლში — ბ. ლავრენიოვის „რღვევა", სადაც გლაშას შთამბეჭდავი სახე შექმნა. წარმატებულმა დებიუტმა მ. ჯაჯანაშვილს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა რუსთაველის თეატრის სახელგანთქმულ დასში და დიდი რეჟისორის სანდრო ახმეტელის ყურადღებაც მიიპყრო. ამ თეატრში მუშაობის 19 წლის მანძილზე მსახიობმა არაერთი ღირსსახსოვარი სახე გამოკვეთა.

მერი ჯაჯანაშვილის აქტიორული ინდივიდუალობა, გამორჩეული პლასტიკა და გარდასახვის უნარი განსაკუთრებით გამოვლინდა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში მოღვაწეობის დროს, სადაც იგი 1948 წლიდან მუშაობდა და ასამდე მხატვრულად სრულქმნილი სცენური სახე შექმნა.

ქალბატონი მერი ჯაჯანაშვილი ჭეშმარიტი პროფესიონალი იყო. მისი შრომისმოყვარეობა სახიერ მაგალითად შემორჩებათ მომავალ თაობებს.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი.

ნათელა რატიანი

ახლა წარსულის ღვაწლის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ იმ ადამიანზე—ნათელა რატიანზე, რომელიც ნახევარი საუკუნე ემსახურა ახალგაზრდობის სულიერი და წიგნიერი აღზრდის საქმეს. იყო დაუშრეტელი ენერგიის და რწმენის ადამიანი, იყო პიროვნება ყველა თავისი შესანიშნავი თვისებით, ერთგული, თავდადებული, ამაგდარი შვილი, დედა და ბებია.

ნათელა რატიანის მოღვაწეობას წიგნის პროპაგანდის საქმეში, მთელი საქართველო იცნობს. და არა მხოლოდ საქართველო. მან, საქმისადმი თავდადებულმა პიროვნებამ ქართული წიგნის პოპულარიზაციის მიზნით მრავალი ღონისძიება ჩაატარა არაქართველი ახალგაზრდობისათვის რესპუბლიკის გარეთაც.

ქალბატონი ნათელა რატიანი თავად ნათელი და მხატვრული ენით მოლაპარაკე, შესანიშნავი ორატორი, სწრაფად იპყრობდა აუდიტორიის, მსმენელის ყურადღებას. ამიტომ ყველას უყვარდა იგი, ერუდირებული, შორსმჭვრეტელი და ხალისიანი.

მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის კოლექტივი.

ზურაბ მიქელაძე

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ მიქელაძე.

დაიბადა 1916 წელს ქართველ ინტელიგენტთა ოჯახში. 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1944 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

1946 წელს ზ. მიქელაძე დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში. 1956 წელს იგი ბრუნდება თბილისში და მისთვის დამახასიათებელი ენერგიულობით ებმება სამეცნიერო მუშაობაში ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის, ხოლო შემდეგ კიბერნეტიკის ინსტიტუტში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც თვითონ იყო.

ზ. მიქელაძის სამეცნიერო ინტერესების ბირთვი იყო ლოგიკის ისტორია, სახელდობრ, დიდი ბერძენი მოაზროვნის არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრების გააზრება თანამედროვე ლოგიკის შუქზე. მას ეძღვნებოდა მისი სადოქტორო დისერტაციაც.

1975-1989 წლებში ზ. მიქელაძე სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრას, 1982 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი ხელმძღვანელობდა მეცნიერული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიას (ამჟამად სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი). სიცოცხლის ბოლო წუთამდე იგი ინტენსიურად მუშაობდა ლოგიკის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნაზე.

წავიდა ჩვენგან მომხიბლავი პიროვნება, ღირსეული მოქალაქე და თვალსაჩინო მეცნიერი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის ცენტრი; საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და კიბერნეტიკის ინსტიტუტები; საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოება.

სერგო სოსელია



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, თვალსაჩინო მეცნიერი, შესანიშნავი მოქალაქე, ომისა და შრომის ვეტერანი სერგო დიანოსის ძე სოსელია.

იგი დაიბადა 1928 წელს მარტვილის რაიონის სოფელ კიწიაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1942-43 წლებში მონაწილეობდა სამამულო ომში. 1953-1961 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. იყო 40 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ასპირანტების მეცნიერ-ხელმძღვანელი, სადისერტაციო საბჭოების წევრი.

სერგო სოსელიას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების, აღზრდილების გულში.

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი; ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანატი; მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კათედრა; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიზნესის და მარკეტინგის ინსტიტუტი.

მხოლოდ ფაქტები

სპეციალისტებს ეშინიათ

მესამე დღეა, ზესტაფონის მახლობლად რკინიგზაზე ელექტროენერგიის გამორთვის გამო გაჩერებულია 18 ვაგონისაგან შემდგარი სატვირთო შემადგენლობა, რომელიც ბათუმის საზღვაო ნავსადგურში ორი ათასამდე ტონა ხორბლით არის სავსე. სპეციალისტებს ეშინიათ, რომ, თუ ელექტროენერგია გამოირთო შეიძლება მოხდეს კატასტროფა: ხაზის გაუდენოობის დროს შემადგენლობების მუხრუჭები ვეღარ შეაკავებენ მატარებელს გზის ისეთ რთულ მონაკვეთზე, როგორიც ზესტაფონის მახლობლად გადის.

მობრძანდით „პეპოზე"

ამ დღეებში მესხეთის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელი პრემიერაზე მიიწვია. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი რეჟისორის ილია მაცხონაშვილის მიერ დადგმული სუნდუკიანის პოპულარული პიესა „პეპო" გულთბილად მიიღეს მესხებმა.

— ალო, გისმენთ!

ქუთაისი. კვლავ დაუბრუნდა ცივილიზებულ სამყაროს — რამდენიმე დღის დუმილის შემდეგ ქუთათურთა ბინებში კვლავ აწკრიალდა ტელეფონის ზარი, ჩაირთო საქალაქო ტელეგრაფი, მოსახლეობამ მიიღო წყალიც...

აღდგენილ ეკლესიაში

სოფელ თამარაშენში გივი გოგიძის თაოსნობით აღდგენილ მთავარანგელოზის ეკლესიაში განახლდა ტრადიციული საეკლესიო რიტუალები. ეკლესიის წინამძღვარი მამა ზურაბი (ქვალაძე) ხუთშაბათობით წირვა-ლოცვაზე იწვევს მრევლს.

შიდსი!..

შიდსის ვირუსით დასნებოვნების ფაქტი რეგისტრირებულია აჭარაში. იგი აღმოჩნდა ნარკომანი, ხელვაჩაურის რაიონის ერთ-ერთი მცხოვრები.

„ჭიათურმანგანუმი" მუშაობს

საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმმა" თვეზე მეტია მუშაობა განაახლა. ათასობით მაღაროელმა შვებით ამოისუნთქა და წლობით შესისხლხორცებულ საქმიანობას დაუბრუნდა.

უკანასკნელ ხანს, ათასგვარი დამაბრკოლებელი გარემოებით ხელფეხშეკრულმა გაერთიანების ხელმძღვანელებმა ბოლოს და ბოლოს შეძლეს მაღაროებისთვის შემოეზიდათ სამაგრი მასალები. ამ დღეებში რუსეთიდან მიიღეს 500 კუბური მეტრი, ხოლო წლის ბოლომდე დამატებით შემოზიდავენ 17 000 კუბურ მეტრ სამაგრ ხეს. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი სამსახურების დახმარებით აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან მიიღეს 160 ტონა დიზელის საწვავი.

ჭიათურელებმა მუშაობა მაღაროების აღდგენითა და დაზიანებული მანქანა-დანადგარების შეკეთებით დაიწყეს. სამწუხაროდ, საშველი არ დაადგა ელექტროგადამცემი საკონტაქტო ხაზების აჭრისა და გატაცების შემთხვევებს. ახლახან, რუსეთში მამასისხლად შეძენილი 3 ტონა მომინანქრებული მავთული მაღაროელებს შარაგზის ყაჩაღებმა წაგლიჯეს, რის გამოც იძულებული არიან გვირაბებში სპილენძის საკონტაქტო ხაზების ნაცვლად უხეში მავთულები გამოიყენონ, რაც ძალზე აფერხებს მუშაობას; გაერთიანებას არა აქვს სატელეფონო კავშირები დაქვემდებარებულ სამსახურებთან. კვლავ პრობლემად რჩება ელმავლების, მადნის გადასაზიდი ვაგონების, სათადარიგო ნაწილების შემოზიდვა და მუშათა სოციალური პირობების მოუგვარებლობა.

ხელისშემშლელი უამრავი მიზეზისა და ამჟამინდელი ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, მაღაროელები განსაკუთრებული ენთუზიაზმით საქმიანობენ, ისინი ყოველდღიურად 1500 ტონა მანგანუმის ნედლეულს მოიპოვებენ, საიდანაც 200 ტონაზე მეტ მაღალხარისხოვან კონცენტრატს ამზადებენ.

როგორც საწარმოო გაერთიანების თავკაცებმა მიხეილ აფაქიძემ და ოლეგ ბუსხრიკიძემ თქვეს, ჭიათურელი მაღაროელები მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმს დააწესებენ და გამოღებული მადნის ოდენობას დღითი დღე გაზრდიან.

სოზარ კუპატაძე,
„სრ" საკ. კორ.

განცხადება
სააქციო კომერციული ბანკი „არკო" ყველაზე უფრო რეალური პროცენტის გაცემით და საიმედო გარანტიით სადეპოზიტო ანაბრებზე ღებულობს, მოქალაქეებიდან და იურიდიული პირებიდან თავისუფალ სახსრებს. იჩქარეთ! ნუ გაუშვებთ ხელიდან თქვენი თანხების გადიდებისა და გაორმაგების საშუალებას.
«ფული მაშინ ფულობს როდესაც ბრუნვაშია, მკვდარი კაპიტალია თუ ის ყულაბაშია»
ჩვენი მისამართია: თბილისი თორნიკე ერისთავის ქუჩა № 2ა (ყოფილი მაგნიტოგორსკის ქუჩა) წერეთლის გამზირიდან ღრმა-ღელისაკენ მოსახვევთან II სართულზე
ბანკის გამგეობა

განუკითხაობა

ბინები... ბითუმად

ბორჯომის საქალაქო გამგეობაში უხეშად ირღვევა საბინაო კანონები, — ასე იწყებოდა რესპუბლიკის პროკურატურაში შემოსული საჩივარი. მისი კოლექტიური ავტორები მრავალ კონკრეტულ ფაქტს ასახელებდნენ.

რესპუბლიკის პროკურატურამ საერთო ზედამხედველობის ხაზით შეამოწმა მშრომელთა სიგნალები, დაადასტურა ფაქტების სინამდვილე, სხვა დარღვევებიც გამოავლინა და წარდგინებით მიმართა ბორჯომის ადგილობრივ გამგეობას, რომელმაც იგი სხდომაზე განიხილა. ფარდა აეხადა ბიუროკრატებისა და ყალბისმქნელების ზღვარს გადაცილებულ თავხედობას.

შარშანდელი წლიდან მოყოლებული ბორჯომში ბინების განაწილება ხდებოდა საკრებულოს გამგეობის მესვეურთა ნება-სურვილით, მოქალაქეთა კატეგორიის, აღრიცხვაზე აყვანის, ჩაწერის, რიგითობის გაუთვალისწინებლად, სასურველ პირებს ასაჩუქრებდნენ აგრეთვე სანიტარიულ ნორმაზე მეტი ფართობით, აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეთა მაგივრად ბინებს ურიგებდნენ მათ ნათესავებს და ა. შ.

მაგალითად, მოქალაქე ე. ნოზაძე კოოპერატიული ბინის მშენებლობის აღრიცხვაზე იყო. საკრებულოს მესვეურთათვის ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა მისი მაზლის — გ. ჩიმჩიურისთვის, რომელსაც ბინის აღრიცხვაზე აყვანა აზრადაც არ მოსვლია, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა ებოძებინათ. დედის აღრიცხვის მომიზეზებით მიაკუთვნეს ბინა გ. ნოზაძესაც, რომელიც სულ სხვა მისამართზე ცხოვრობდა, თავად კი აღრიცხვაზე აყვანისთვის არ გარჯილა. დედის მაგივრად მიეცა ბინა აგრეთვე ო. ჯაფარიძის ოჯახს. ასეთი ფაქტი, სამწუხაროდ, მრავალია.

მთელი ქალაქი ალაპარაკდა, როცა შეიტყვეს, რომ ერეკლეს ქუჩის 6 ნომერში მდებარე [illegible] შენობა საუწყებო საცხოვრებელ ფონდში ჩაირიცხესო. მაგრამ კიდევ უფრო განცვიფრდნენ, როცა დარწმუნდნენ, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ იგი ნ. აიწურაძის ოჯახისთვის მიეცათ. ეს „გავლენიანი" პიროვნება მანამდე ხუთ სულთან ერთად ცხოვრობდა სამოთახიან იზოლირებულ ბინაში, რომელიც მისი ოჯახის ერთ წევრს დაუტოვეს. გამგეობაში იმასაც არავინ მიაქცია ყურადღება, რომ ნ. აიწურაძე ბინის მიღების აღრიცხვაზე არ იმყოფებოდა.

სანატორიუმ „მთის ხეობის" ერთ-ერთი შენობაც ჩაირიცხა კომუნალურ ფონდში და იგი მის თანამშრომლებზე უნდა განაწილებულიყო. ქალაქის მესვეურებმა კი ნ. კალმახელიძის ოჯახს მიაკუთვნეს, რომელიც ბორჯომში საერთოდ არ იყო ჩაწერილი და ბინის მიღების აღრიცხვაზეც არ ყოფილა.

რიგის დარღვევით მიიღეს ბინები ნ. ჭოლაძემ, ნ. კიკნაძემ, ს. ქალიაშვილმა, თ. თოდრაძემ, თ. ნადირაძემ, ც. გოგოლაძემ, დ. სალათელაშვილმა, ლ. კურტანიძემ და სხვებმა. არასწორად ხდებოდა ბინების გაცვლა, ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანა, აღრიცხვიანობის აღდგენა, ზოგიერთი პირების აღრიცხვიანობა სხვებზე გადაქონდათ, თვითნებურად ცვლიდნენ კატეგორიებსაც, რათა სასურველი პირები ადვილად გამხდარიყვნენ ბინის მფლობელნი.

ერთი სიტყვით, ბორჯომის საკრებულოს გამგეობაში სრული განუკითხაობა გამეფდა. ეს დარღვევები და დანაშაულობანი ხდებოდა მაშინ, როცა საკრებულოს გამგეობაში ბინის მიღების აღრიცხვაზე 1954 წლიდან (!) იმყოფებოდა 843 ოჯახი, დაუკმაყოფილებელია სტიქიით დაზარალებული 31 ოჯახი, რომლებიც წლების მანძილზე სასტუმროებსა და პანსიონატებში აფარებენ თავს, და ბინები პირველ რიგში ეკუთვნით. იყო შემთხვევები, როცა აღრიცხვაზე მყოფნი ისე წავიდნენ იმ ქვეყნად, ვეღარ მოესწრნენ ბინის მიღების სიხარულს.

კურორტ-ქალაქში ბინების განაწილებაში დაშვებული აღრევა უცნობი არ ყოფილა რაიონის ხელმძღვანელობისათვის. ბორჯომის ადგილობრივი თვითმმართველობის გამგეობამ და რაიპროკურატურამ საკითხი მრავალჯერ შეისწავლეს და განიხილეს, დაუფარავად ამხილდნენ ქალაქის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის ზ. თაბაგარის, საბინაო-კომუნალური და მიწათსარგებლობის კომისიის თავმჯდომარის, კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთიანების მთავარი ინჟინრის ვ. ხაჩიძის, სახლთმმართველის გ. კიკნაძის მოუქნელ მუშაობას, რომლებიც ჯეროვნად ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას, ზუსტად და განუხრელად არ ასრულებენ კანონის მოთხოვნებს, უშვებდნენ უხეშ დარღვევებსა და დამახინჯებებს. რაიონის გამგეობამ ერთხელ ქ. ბორჯომის საკრებულოს სესიის წინაშე საკითხიც კი დააყენა ზ. თაბაგარისა და ნ. ხაჩიძის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე.

ბორჯომის რაიონის გამგეობამ ამჯერად იხელმძღვანელა რესპუბლიკის პროკურატურის წარდგინებით, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულებით და გაატარა ორგანიზაციული ღონისძიებანი. დაკავებული თანამდებობებიდან გაათავისუფლა ქალაქის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე ზ. თაბაგარი, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მიწათსარგებლობის კომისიის თავმჯდომარე, საბინაო-კომუნალური გაერთიანების მთავარი ინჟინერი ვ. ხაჩიძე, სახლთმმართველი გ. კიკნაძე, ცნობად არის მიღებული, რომ ქ. ბორჯომის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ზ. მოსიძე მუშაობაში დაშვებული სერიოზული დარღვევებისა და ნაკლოვანებებისთვის ადრე გათავისუფლებულია თანამდებობიდან, საყვედური გამოეცხადა საბინაო-კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი კომისიის უფროსს მ. ვარდიაშვილს, რომელმაც შეასუსტა კონტროლი და მომთხოვნელობა სახლთმმართველობის მუშაობაზე. რაიონის გამგეობამ გააუქმა შარშან და წლეულს საკრებულოს მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებანი.

ასე დაემშვიდობნენ თანამდებობებს ისინი, ვინც არად აგდებდნენ კანონს, ფეხქვეშ თელავდნენ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრეს-სამსახური.

საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს კოლექტივი იუწყება, რომ მრეწველობის მინისტრს ვლადიმერ კერესელიძეს გარდაეცვალა დედა

ნინო მეფარიშვილი-კერესელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამგეობის წევრის ზურაბ ჟვანიას მამის

ბესარიონ ჟვანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

იყიდება ვოლფრამი 500 კგ. სისუფთავე 9,99, ფასი შეთანხმებით. ცნობებისათვის დარეკეთ საღამოს, 51-05-78.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოზიაშვილი.
მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.
ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.
გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარიულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.
გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0168.
SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 6643